თავი 3
ბიზნესის კვლევის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საფუძვლები

- კვლევის მეთოდოლოგიის საკვანძო ელემენტები
- კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია
- კვლევის ორგანიზების პრინციპები
- დასკვნა
- საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის
- საკონტროლო კითხვები და დავალებები
- საგამოცდო ტესტები

კვლევის მეთოდოლოგიის საკვანძო ელემენტები

ბიზნესის სფეროში ნებისმიერი კვლევის ჩატარება მოითხოვს გარკვეული მეთოდოლოგიისა და მეთოდების გამოყენებას, რაც გულისხმობს კვლევის პროცესის სათანადო დაგეგმვას, სხვადასხვა ინსტრუმენტისა თუ დამხმარე მასალის, რეკომენდაციებისა და სხვების მიერ უკვე დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია კვლევის პროცესის გარკვეული თანმიმდევრობა და სისტემატურობა. მკვლევარმა უნდა გამოიყენოს თეორიული დებულებები და კვლევის ტექნიკა/პროცედურები პრაქტიკული საკითხებისა და რეალური პრობლემების შესასწავლად.

ხშირია შემთხვევები, როდესაც მკვლევარები საკუთარ ნაშრომებში მეთოდოლოგიასა და მეთოდზე საუბრობენ, თუმცა ყოველთვის გასაგები არ არის, თუ რა იგულისხმება ცნებებში. ეს ორი ცნება ზოგჯერ სინონიმად აღიქმება, ან ურთიერთჩანაცვლებით გამოიყენება. ამასთან დაკავშირებით, შესაძლოა გაჩნდეს მრავალი კითხვა, მაგალითად, ასეთი: ექსპერიმენტი კვლევის ერთ-ერთი მეთოდია, თუ მეთოდოლოგია? რა განსხვავებაა მეთოდოლოგიასა და მეთოდს შორის? რას გულისხმობს თითოეული მათგანი?

რეალურად, მეთოდოლოგია უფრო ფართო ცნებაა და მის ფარგლებში შესაძლოა ერთი ან რამდენიმე მეთოდი მოიაზრებოდეს. ის არის ერთგვარი მიდგომა საკვლევი საგნისადმი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მთელ პროცესს, კერძოდ კი იმას, თუ მკვლევარი რა მეთოდებს გამოიყენებს, როგორ დაამუშავებს და გაანალიზებს მიღებულ მონაცემებს და ა.შ. რაც შეეხება მეთოდს, - ეს არის ის კონკრეტული გზა, რომელსაც მკვლევარი ირჩევს კვლევის ობიექტის შესასწავლად. მოკლედ თუ ვიტყვით, მეთოდოლოგია წარმოადგენს პრინციპების,წესებისა და თეორიული წანამძღვრების ერთობლიობას, მეთოდი კი მიზნის მისაღწევი კონკრეტული პრაქტიკული ხერხია, რომელიც მოიცავს წინასწარ განსაზღვრულ თანმიმდევრულ ნაბიჯებს[1] **(ნახაზი 3.1.).**

განსხვავება მეთოდოლოგიასა და მეთოდს შორის უფრო გასაგები რომ გახდეს, შეგვიძლია ისინი ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციას შევადაროთ. მაგალითად, განვიხილოთ წონის დაკლების ორი „მეთოდოლოგია" - ფიზიკური დატვირთვა და დიეტა. თუ თქვენ უპირატესობას ფიზიკურ დატვირთვას მიანიჭებთ, მაშინ ისეთი მეთოდების გამოყენება მოგიწევთ, როგორიცაა აერობიკა, ცურვა, სირბილი და ა.შ. დიეტის შემთხვევაში კი სხვადასხვა ტიპის კვებით შეზღუდვას („უგულავას დიეტა", კალორიების დათვლა, წიწიბურას დიეტა და ა.შ.) აირჩევთ. წონის დაკლება შესაძლებელია აგრეთვე ფიზიკური დატვირთვის და დიეტის შეთავსებით, რაც შერეული მეთოდოლოგიის მაგალითს წარმოადგენს[2].

სიტყვა-სიტყვით ბეჭნული ტერმინი „მეთოდ-

[1] *კვლევის მეთოდოლოგიასა და მეთოდს შორის არსებული განსხვავება კარგადაა ახსნილი სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომში* (იხ., მაგალითად, The practice of social research by Babbie, Earl R., რომელიც ხელმისაწვდომია სტუ-ს ბიბლიოთეკაში). *ასევე, დამატებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი წყაროები:* წულაძე ლ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. - თბილისი, 2008. - 84 გვ.: http://old.ucss.ge/geo/publication/publications_detail.php?ID=435; ზურაბიშვილი თ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. სალექციო კურსი. - თბილისი, 2006. - 111 გვ.: http://www.ucss.ge/publication/012%20Tvisebrivi%20Metodebi%20Socialur%20Kvlevebshi.Pdf

[2] *ვრცლად იხ.:* ქერქაძე ნ., ვარდანაშვილი ი., ხუნდაძე ც. მეთოდოლოგია და მეთოდი: http://blog.crrc.ge/2012/08/blog-post.html



ნახაზი 3.1. მეთოდოლოგიისა და მეთოდის ურთიერთმიმართება

ოლოგია" (მეტჰოდოს - გზა, ლოგოს - სიტყვა, მოძღვრება) ითარგმნება, როგორც „მოძღვრება მეთოდების შესახებ", მაგრამ ლიტერატურაში ამ ტერმინის ქვეშ მოიზრება როგორც მოძღვრება შემეცნების მეცნიერული მეთოდის შესახებ, ისე მეცნიერების რომელიმე სფეროში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა.

მეთოდოლოგია არ წარმოადგენს ცალკეული მეთოდების უბრალო ჯამს, მათ „მექანიკურ ერთობას". მეთოდოლოგია სხვადასხვა დონის საშუალებების, ხერხების, პრინციპების, მოქმედების სფეროების, მიმართულებების, ევრისტიკულ შესაძლებლობების, შინაარსის, სტრუქტურისა და ა.შ. რთული დიალექტიკური, მთლიანი, სუბორდინირებული სისტემაა.

ფორმალური თვალსაზრისით, მეთოდოლოგია არ არის დაკავშირებული რეალური სამყაროს შესახებ ცოდნის არსობრივ გაგებასთან. უფრო სწორად, მეთოდოლოგიას საქმე აქვს ისეთ ოპერაციებთან, რომლის მეშვეობითაც ხდება ცოდნის კონსტრუირება. ამიტომ, ტერმინი „მეთოდოლოგია" მიღებულია ეწოდოს კვლევის პროცედურების, ტექნიკისა და მეთოდების ერთობლიობას, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ხერხების ჩათვლით.

მეთოდოლოგიის შინაარსობრივი გაგება გამომდინარეობს იქედან, რომ მასში რეალიზდება კვლევის სფეროს საგნობრივი ევრისტიკული (ე.წ. საძიებო) ფუნქცია. ცოდნის ნებისმიერ თეორიულ სისტემას აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც ის არა მარტო აღწერს და განმარტავს საგნის ზოგიერთ სფეროს, იმავდროულად წარმოადგენს ახალი ძიების ინსტრუმენტს. რამდენადაც თეორია აყალიბებს სამყაროს საგნობრივ სფეროში ასახვის პრინციპებსა და კანონებს, ის ამავე დროს წარმოადგენს სინამდვილის ჯერ კიდევ შეუსწავლელ სფეროში შემდგომი შეღწევის მეთოდს არსებული, პრაქტიკით შემოწმებული ცოდნის საფუძველზე.

მეთოდოლოგია, როგორც ფილოსოფიური ცოდნის ნაწილი, მჭიდრო კავშირშია შემეცნების (გნოსეოლოგიის) თეორიასთან და მასთან ერთად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: (1) წარმოგვიდგენს ზოგად „შემეცნებით" და „კვლევით" პრინციპებს სინამდვილის შესასწავლად; (2) უზრუნველყოფს დისციპლინათაშორისი სინთეზის შესაძლებლობას, როგორც ცოდნის შიგა მსხვილ (საბუნებისმეტყველო, სოციალური, ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერებები) სფეროებში, ასევე მათ გასაყარზე; (3) ზოგადად ამუშავებს ჭეშმარიტების პრობლემას და მისი განმტკიცების მეთოდებს; (4) აანალიზებს ცოდნის (პირველ რიგში, მეცნიერული ცოდნის) მსოფლმხედველობრივი გაგების სტანდარტებს და მისი

წარმოშობის ზოგად სოციალურ-კულტურულ ფონს; (5) აგებს ანალიტიკურ სქემებს ცოდნის სხვადასხვა ტიპების მეცნიერული, რელიგიური და ა.შ. ისტორიის შესწავლისათვის.

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „მეთოდოლოგია" და „შემეცნების თეორია" ერთი და იგივე ფილოსოფიური მეცნიერების გამოსახვის უბრალოდ ორი განსხვავებული სიტყვაა: „მეთოდოლოგია უკვე გარკვეული შემეცნების თეორიის აზრით, როგორც უკანასკნელი კი არ შემოიფარგლება შემეცნების ფორმებისა და მეთოდების გამოკვლევით, არამედ შეისწავლის შემეცნების ბუნების პრობლემებს, ცოდნის სინამდვილესთან, შემეცნების სუბიექტსა და ობიექტთან დამოკიდებულებას, შემეცნების შესაძლებლობებსა და საზღვრებს, მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმებს და ა.შ. მეორე მხრივ, მეთოდოლოგია „ფართოა" გნოსეოლოგიაზე, რამდენადაც მას აინტერესებს არა მარტო შემეცნების მეთოდები, არამედ ადამიანური საქმიანობის ყველა სხვა ფორმებიც"[3].

მეთოდოლოგიის შესწავლა მნიშვნელოვანია ნებისმიერი მკვლევარისათვის. მაგრამ, ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ რომელიმე მეცნიერების მეთოდოლოგიის შესწავლა ვერანაირად ვერ შეცვლის თვით მეცნიერების შესწავლის აუცილებლობას. მეთოდოლოგიის არჩევა, ისევე როგორც საკვლევი პრობლემის არჩევა, რამდენადმე ხელოვნებაა, რომლის შესწავლა საჭიროა, როგორც იტყვიან, „ადრეული ასაკიდან", უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, მეცნიერებაში ყოფნის პირველივე წლიდან.

ამასთან დაკავშირებით, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. მეცნიერული ცოდნის სფეროს გაფართოებას ჩვეულებრივად გვიხატავენ, ე.წ. „ცოდნის არეალის" „გაფართოებით". თუ მაგალითად, მე-17 საუკუნეში „ცოდნის არეალი" არც ისე დიდი იყო (ე.ი. არც ისე დიდი იყო ცოდნის შინაარსი და რაოდენობა), აგრეთვე ცოდნის უცოდინრობასთან თანხვედრის საზღვარი (მომცველობის სიგრძე) მოკლე იყო, მე-20 საუკუნეში „ცოდნის არეალი" მნიშვნელოვნად გაფართოვდა და იმავდროულად გაიზარდა (გაგრძელდა) თვით თანხვედრის ზღვარი უცოდინრობასთან და თანამედროვე პერიოდში მეცნიერული ცოდნის მოზღვავება მიმდინარეობს ასე თუ ისე გაშლილი ფრონტის საზღვრებში.

მაგრამ, ამავე დროს, მეცნიერმა, სტრატეგის ან სარდლის მსგავსად, უნდა იცოდეს, რომ თვით გარშემოწერილობის სისქე, ანუ „საზღვრის სიფართოვე" ცოდნასა და უცოდინრობას შორის, სხვადასხვა ადგილას არაერთგვაროვანია: სადღაც - მეტია, სადღაც - ნაკლები. ნებისმიერი მკვლევარი, როგორც სტრატეგი, უნდა გრძნობდეს ამ სისქეს და უნდა ესმოდეს, - სად უფრო ადვილია ამ საზღვრის გარღვევა და სად უფრო რთული. ყველა მეცნიერული პრობლემა არ არის განსხვავებული მნიშვნელობის და არ უნდა ველოდოთ, რომ ნებისმიერი მათგანის გამოკვლევა ერთნაირ შედეგამდე მიგვიყვანს.

არსებობს პრობლემები, რომელთა შესწავლა ხშირად აიძულებს მეცნიერს „ადგილზე ტკეპნას", არიან ისეთებიც, რომელთა ანალიზი იწვევს სერიოზულ მეცნიერულ გარღვევებს ახალი ცოდნის სფეროში. ასეთი პრობლემების განსაღვრის შესაძლებლობა - ეს არის ხელოვნება, რომლის შესწავლაც აუცილებელია სტუდენტური მერხიდან.

საკვლევი პრობლემის სწორად განსაზღვრა - ეს მკვლევარის ამოცანების მხოლოდ ნაწილია. ხოლო მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილი, - ეს არის მოცემული პრობლემის კვლევის სწორი მეთოდოლოგიის არჩევა. მეცნიერმა უნდა გადაწყვიტოს, როგორი მეთოდებით უნდა მიუდგეს პრობლემას: ემპირიულად თუ თეორიულად, დაკვირვებათა სერიის ჩატარება, ექსპერიმენტების დაყენება, ჰიპოტეტურ-დედუქციური თეორიის შექმნა, პრობლემის კვლევის ფორმალიზება, მათემატიკური მოდელის აგება.

ანალიზის ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა, გაჯერებული შესაბამისი „კვლევის ფილოსოფიით", საბოლოოდ მოგვცემს მეთოდოლოგიას, ხოლო თვით მეთოდოლოგია, თუკი ის გვიჩვენებს თავის ეფექტიანობას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „მეცნიერული ფრონტის" სხვა მონაკვეთებზე, ანუ ცოდნისა და უცოდინრობის შეხების მთელ საზღვარზე.

ამასთან, მეცნიერულ ცოდნას მეთოდოლოგიის შესახებ შეუძლია მხოლოდ ზოგადი ნიშნებით იწინასწარმეტყველოს რომელიმე კონკრეტული მეთოდოლოგიის არჩევა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. შემდგომ უკვე იწყება მეცნიერული ინტუიციის სფერო, რომელიც დაფუძნებულია უფრო მეტად არა რაციონალურობაზე, არამედ ირაციონალურობაზე, არა არჩევანზე, არამედ წინასწარ არჩევანზე.

[3] *ვრცლად იხ.:* Кохановский В.П. Философия и методология науки: Учебник для высших учебных заведений. Ростов н/Д.: «Феникс», 1999, с. 171: https://platona.net/load/knigi_po_filosofii/uchebnye_posobija_uchebniki/kokhanovskij_filosofija_metodologija_nauki_uchebnik/27-1-0-938

შესაბამისად, ნებისმიერი მკვლევარის (როგორც თვით მეცნიერების, ასევე მისი მეთოდოლოგიის დარგში) ამოცანაა გამოიმუშაოს „წინასწარი არჩევის" მსგავსი ინტუიცია და შესაძლებლობა გამოიყენოს ეს კვლევითი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია:

➲ კარგად იცოდეს თავისი დისციპლინა და შეეძლოს მისი სხვადასხვა მიმართულებებით მუშაობა (მაგალითად, ბიზნესის სფეროში მოღვაწე თეორეტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს გამოყენებით ბიზნეს-დისციპლინებში, და პირიქით, ბიზნესის სფეროს პრაქტიკოსმა კარგად უნდა იცოდეს ბიზნესის თეორია);

➲ ჰქონდეს ფუნდამენტური ცოდნა არა მარტო თავის დისციპლინაში, არამედ სხვა, მასთან მოსაზღვრე დისციპლინებში (ბიზნესის სფეროს მკვლევართათვის - ეს არის სოციოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, იურისპრუდენცია, ფსიქოლოგია);

➲ ჩაატაროს მთელი თანამედროვე პერიოდიკის (როგორც ქართული, ისე დასავლეთის ქვეყნების) საგულდაგულო ანალიზი, რადგანაც, პირველ რიგში, სწორედ აქ არის შესაძლებელი ახალი სამეცნიერო მასალის პოვნა (ბიზნესის სფეროს მკვლევართათვის - ისევ, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფილოსოფიური, სოციოლოგიური, მათემატიკური და ა.შ.);

➲ კარგად იცნობდეს საკვლევი პრობლემის მიხედვით ავტორთა ფართო წრეს და იცოდეს, თუ რომელი მათგანისაგან უნდა ველოდოთ სერიოზულ შედეგებს და რომლებისგან - არა.

მეთოდოლოგია, როგორც ჭეშმარიტების შესწავლის წესი, მრავალვარიანტული და მრავალგანზომილებიანია. იგი, ისევე როგორც სამეცნიერო კვლევისადმი მიდგომები, შესაძლოა კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნების გამოყენებით.

მეთოდოლოგიის პირველი, ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია არის მისი დანაწილება ცოდნის იმ სფეროების (მეცნიერული სფეროების) მიხედვით, სადაც გამოიყენება მოცემული მეთოდოლოგია.

მაგალითად, ფილოსოფია დაამუშავებს და გამოიყენებს ფილოსოფიურ მეთოდოლოგიას სინამდვილის სხვადასხვა სფეროს შესწავლისათვის; ისტორია თავის ობიექტთან მიმართებაში, როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ცალკეული შემთხვევებისა და ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებისეული ფაქტების ამსახველი - გამოიყენებს ისტორიულ მეთოდოლოგიას; პოლიტიკურ მეცნიერებებს ასევე გააჩნიათ თავისი საკუთარი მეთოდოლოგია - პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგია და ა.შ. დაბოლოს, ბიზნესის მეცნიერება, ნებისმიერი მეცნიერების მსგავსად, შეიმუშავებს და იყენებს საკუთარ მეთოდოლოგიას.

მეთოდოლოგია შეიძლება აგრეთვე დავყოთ მეცნიერულ მეთოდოლოგიად და ცოდნის სხვა ტიპების მეთოდოლოგიად, მაგალითად, რელიგიურ მეთოდოლოგიად, მაგიურ და მისტიკურ მეთოდოლოგიად, „საღი აზრის" მეთოდოლოგიად და ა.შ.

იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ურთიერთობას - რაოდენობრივს თუ თვისებრივს - იკვლევს მოცემული მეთოდოლოგია, იგი შეიძლება დაიყოს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდოლოგიად.

მეთოდოლოგიის კლასიფიკაციის კიდევ ერთი ვარიანტი - ეს არის მისი დაყოფა იმ მეთოდის ტიპის მიხედვით, რომელსაც, როგორც საკვანძოს, იყენებს ესა თუ ის მეთოდოლოგია. აქ, მაგალითად, შეიძლება გამოიყოს ინდუქციური, დედუქციური, „გასაგები" (ინტერპრეტირებადი), ექსპერიმენტული, მოდელირების, ევოლუციური და ა.შ. მეთოდოლოგიები.

დაბოლოს, საკმაოდ პოპულარულია მეთოდოლოგიის დანაწილება მისი განზოგადების სამი დონის მიხედვით: (1) საყოველთაო; (2) ზოგადმეცნიერული და (3) კერძომეცნიერული. აქედან, პირველი დონე – ყველაზე მაღალია, მესამე - ყველაზე დაბალი, მეორე საშუალოა პირველსა და მეორეს შორის ზოგადობის ხარისხის მიხედვით.

ყველა (სოციალური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური) მეცნიერებისათვის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფილოსოფია. მაშასადამე, *საყოველთაო მეთოდოლოგიას* შესაძლებელია მივაკუთვნოთ ფილოსოფია. სწორედ ეს მეცნიერება სხვადასხვა მიმართულების მეცნიერებს აძლევს ორიენტირებს შემეცნებითი პროცესის არსის, ფორმების, დონეებისა და ამოსავალი წანამძღვრების, მისი საიმედობისა და ჭეშმარიტების პირობების, შემეცნების სოციალურისტორიული კონტექსტის შესახებ[4].

[4] *ვრცლად იხ.:* Кохановский В.П. Философия и методология науки: Учебник для высших учебных заведений. Ростов н/Д.: «Феникс», 1999, с. 198: https://platona.net/load/knigi_po_filosofii/ uchebnye_posobija_ uchebniki/kokhanovskij_filosofija_ metodologija_nauki_uchebnik/27-1-0-938

გავიხსენოთ, რომ ფილოსოფია არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოების და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ, ასევე ადამიანისა და კაცობრიობის მიზნებისა და ღირებულებების შესახებ. „ფილოსოფია (განსაკუთრებით მის რაციონალურ ვარიანტში) აძლევს მეცნიერს ამოსავალ გნოსეოლოგიურ ორიენტირებს შემეცნებითი პროცესის არსის, მისი ფორმების, დონეების, ამოსავალი წანამძღვრებისა და საყოველთაო საფუძვლების, სანდოობის და ჭეშმარიტების პირობების, შემეცნების სოციალურისტორიულ კონტექსტის და ა.შ. შესახებ. შესაბამისად, ფილოსოფია აყალიბებს ზოგად პრინციპებს, რომელსაც სხვა მეცნიერი აშკარა ან შენიღბული ფორმით გამოიყენებს თავისი კვლევის პროცესში.

ეს აგრეთვე ნიშნავს იმას, რომ ფილოსოფია არის საყოველთაო მეთოდოლოგია ბიზნესის მეცნიერებისათვის, ე.ი. ფილოსოფია ბიზნესისთვისაც იძლევა ზოგად მარეგულირებელ პრინციპებს, რომელსაც ბიზნესის სფეროს მკვლევარი იყენებს თავის ყოველდღიურ კვლევებში, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ბიზნესის სფეროს მკვლევარებმა არ იციან იმის შესახებ,რომ ეს პრინციპები ფილოსოფოსების მიერაა დამუშავებული.

განვიხილოთ ზოგიერთი საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპის, როგორც მეთოდოლოგიურის, მოქმედება ბიზნესის მეცნიერებაში:

1. სამყაროს შეცნობადობის პრინციპი აღიარებს ბიზნესის ნებისმიერი მოვლენისა და პროცესის შეცნობადობას. ამიტომ ბიზნესის სფეროს ნებისმიერი მკვლევარი, იწყებს რა ამა თუ იმ ფენომენის შესწავლას, მტკიცედ აცნობიერებს, რომ საკვლევი ფენომენი შეცნობადია, ხოლო შეუცნობადი ბიზნეს-პროცესები საერთოდ არ არსებობს.

2. განვითარების პრინციპი მოითხოვს ბიზნესის მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიდგომას, ე.ი. მათი, როგორც დროსა და სივრცეში განვითარებადის განხილვას. „ყველა სამეურნეო პროცესი უნდა განხილულ იქნას მის განვითარებაში, დინამიკაში" - საკითხი თითქოს აშკარად ბანალურობამდეა დასული, მაგრამ შეუძლებელია ვივარაუდოთ, რომ ანტიკური და შუასაუკუნეობრივი მეურნეობრივი აზრი იცნობდა ამ პრინციპს. უფრო სწორად, ის დანერგილ იქნა ფილოსოფიის მიერ მეურნეობრივ შეგნებაში გაცილებით გვიან, უკვე ახალი დროების ეპოქაში.

3. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი ამტკიცებს, რომ „ყველაფერი, რაც თეორიულად შესაძლებელია და არ არის აკრძალული ბუნებისა და საზოგადოებრივი კანონებით, პრაქტიკულად განხორციელებადია". ამ პრინციპის საფუძველში, თუ მას თანმიმდევრულად გამოვიყენებთ ბიზნესის მეცნიერებაში, დევს იდეა, რომელიც გულისხმობს სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების მართვის შესაძლებლობას და მასზე მიზანდასახულად ზემოქმედების უნარს.

4. დეტერმინიზმის პრინციპის არსი დაიყვანება იმ ფაქტის აღიარებაზე, რომ თითოეული შედეგის მიღმა თავისი მიზეზია და რომ ყველა პროცესი სამყაროში მეტნაკლებად დაკავშირებულია ერთმანეთთან. დეტერმინიზმის პრინციპი ბიზნესის მეცნიერებაში ყველა სამეურნეო მოვლენისა და პროცესის საყოველთაო განპიროვნებულობის პრინციპია. ეს პრინციპი ისევე, როგორც ყველა წინამორბედი, არ არსებობდა ბიზნესის ანალიზის ისტორიაში თავდაპირველად, მისი არსებობა მასში გამოვლინდა მე-17 - მე-18 საუკუნეებში. დეტერმინიზმის პრინციპის სამეურნეო ცოდნაში დანერგვაში დიდი როლი ითამაშა ფილოსოფიამ.

5. სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის") პრინციპი გვთავაზობს ნებისმიერ სამეურნეო ფაქტთან მიმართებაში ვეძებოთ მეტნაკლებად მარტივი ახსნა ყველა არსებული ვარიანტიდან. ისტორიულად, ეს პრინციპი პირველად გამოჩნდა მე-14 საუკუნეში ინგლისელ ფილოსოფოსთან უილიამ ოკამთან და ამიტომაც მიიღო სახელწოდება „ოკამის სამართებელი". ეს პრინციპი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: „თუკი არსებობს უფრო მარტივი ახსნა, არ არის საჭიროება უფრო რთულზე გადასვლისა". მას შემდეგ „ოკამის სამართებელი" (სიმარტივის პრინციპი, აზროვნების ეკონომიის პრინციპი) გახდა თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპი.

ეს პრინციპი მისაღებია ასევე ბიზნეს-პროცესების მიმართ: ფიქრობენ რა ამა თუ იმ სამეურნეო მოვლენების ბუნების შესახებ, ბიზნესის სფეროს მკვლევარები, უპირველეს ყოვლისა, ეძებენ ახსნის მარტივ ვარიანტს, შემდეგ - უკვე უფრო რთულს. ეს ყველაფერი მიმდინარეობს მკვლევარის ინტუიციის, ქვეცნობიერის და ინსტიქტის დონეზე.

მაგალითად, ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა, როგორც წესი, მოცემულ ქვეყანაში ინფლაციის შედეგია (ეს ყველაზე მარტივი ახსნაა), მაგრამ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საგადასახდელო ბალანსის გაუარესებასთან, მისი დეფიციტის ზრდასთან (უფრო რთული ახსნა). სხვათა შორის, უმეტეს შემთხვევაში, ორივე ახსნა მჭიდრო კავშირურთიერთობაშია ერთმანეთთან.

ფილოსოფია ახდენს საერთო პრინციპების ფორმულირებას, რომელიც გამოიყენება მეცნიერების მიერ ფარული ან ღია სახით კვლევითი პროცესის რეალიზაციისას, მათ შორის ბიზნესში. მაგალითად, სამყაროს შემეცნების ფილოსოფიური პრინციპი მიეკუთვნება ბიზნესის ნებისმიერი მოვლენის და პროცესის შემეცნებას და მიანიშნებს იმაზე, რომ საკვლევი ბიზნეს-ფენომენი შეცნობადია.

ბიზნესში ყოველმხრივ გამოიყენება პრაქტიკული განხორციელების ფილოსოფიური პრინციპი: „ის, რაც თეორიულად შესაძლებელია და აკრძალული არ არის ბუნების კანონებით, პრაქტიკულად განხორციელებადია". ეს პრინციპი უდევს საფუძვლად კვლევას, რომელიც მიმართულია სამეურნეო პროცესების მართვაზე და წარმოადგენს მათზე ზემოქმედების მიზანმიმართულ გზას.

ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგია ორიენტირებულია რამოდენიმე მეცნიერებაში გამოყენებაზე. ამ მეთოდოლოგიების მაგალითია მათემატიკური, სტატისტიკური, ისტორიული და სხვა მეთოდოლოგიები. ცხადია, რომ დასახელებული მეთოდოლოგიები თავის გამოყენებას პოულობენ არა მხოლოდ მათემატიკასა ან ისტორიაში, არამედ ბიზნესში, მენეჯმენტში, სოციოლოგიაში და ა.შ.

კერძომეცნიერული მეთოდოლოგიები გამოიყენება მხოლოდ ერთ კონკრეტულ მეცნიერებაში. მაგალითად, ბიზნესის მეთოდოლოგია ორიენტირებულია შემეცნებით საქმიანობაზე ბიზნესის სფეროში.

ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდოლოგიური კონცეფციების რიცხვს, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერული თეორიების (მათ შორის, ბიზნესის თეორიის) განვითარების მეთოდოლოგიური და ისტორიული ანალიზისათვის, შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სამი: (1) ამერიკელი ისტორიკოსის ტომას კუნის (1922-1995) „მეცნიერული რევოლუციებისა და პარადიგმების კონცეფცია"; (2) ინგლისელი მეცნიერის (უნგრეთიდან დიდ ბრიტანეთში ემიგრირებული) იმრე ლაკატოსის (1922-1974) „კვლევითი პროგრამების თეორია"; (3) კარლ რაიმუნდ პოპერის (1902-1994, დაბადებულია ავსტრიაში, ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა დიდ ბრიტანეთში) „კრიტიკული რაციონალიზმისა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფცია".

ეს კონცეფციები საჭიროა ჩაითვალოს „საბაზოდ" იმ მიზეზით, რომ მათ ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინეს როგორც მეთოდოლოგიური ცოდნის, ასევე მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის განვითარებაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამივე კონცეფცია თავის ზოგიერთ ნაწილში ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს წარმოაჩინოს ისინი როგორც „ურთიერთშემავსებელი" ერთის მეორესთან დამოკიდებულებაში. ამიტომ მნიშვნელოვანია თითოეული მათგანის გაცნობა.

ტ. კუნის მეცნიერული რევოლუციის კონცეფცია[5]: ტ. კუნის ძირითად ნაშრომში - „მეცნიერული რევოლუციის სტრუქტურა" (1962, რუს. 2003) - საკვანძოა ცნებები „პარადიგმა" და „მეცნიერული რევოლუცია". სწორედ ამ ორი საკვანძო ტერმინის გარშემო შენდება ამერიკელი მეცნიერის კონცეფცია[6].

პარადიგმას ტ. კუნი განსაზღვრავს, როგორც მეცნიერული აზროვნების ნორმასა და ნიმუშს, რომელიც მოცემულ სამეცნიერო საზოგადოებაში ტრადიციის ხასიათს იძენს. ან კიდევ ცოტა უფრო განსხვავებულად - ეს არის განსაზღვრული მეცნიერული სტერეოტიპი, შაბლონური აზროვნება, რომლის ფარგლებშიც მეცნიერები ამა თუ იმ პერიოდში წყვეტენ თავინთ კვლევით ამოცანებს.

ტ. კუნი მეცნიერულ რევოლუციას უწოდებს მეცნიერების განვითარების ეტაპს, როცა ერთი პარადიგმა იცვლება მეორეთი. ხოლო მეცნიერული ცოდნის სისტემების განვითარების პერიოდები „რევოლუციებს შორის" შეიძლება დახასიათდეს, როგორც „პარადიგმამდელი", ან როგორც „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი. კუნი მეცნიერების განვითარების პარადიგმამდელ პერიოდს აღწერს, როგორც მეცნიერების სხვადასხვა სკოლისა და მიმდინარეობის მეტოქეობის პერიოდს. ამ პერიოდში ჯერ არ არსებობს მეცნიერული აზროვნების მდგრადი სტილები და სტერეოტიპები,მეცნიერებაში მიდის დაუმთავრებელი მეთოდოლოგიური დისკუსიები იმის შესახებ, თუ რომელი სავარაუდო კვლევითი პროგრამა შეიძლება იქნეს მიჩნეული პარადიგმად. როგორც წესი, ასეთი დისკუსიების შედეგად წარმატებას აღწევს ერთ-ერთი განხილული პროგრამა და სწორედ ის მიიჩნევა პარადიგმად სამეცნიერო საზოგადოების მიერ. ამის შემდგომ მეცნიერული ცოდნის სისტემის ჩამოყალიბებაში დგება „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი.

[5] *ვრცლად იხ.:* Орехов А. М. Методы экономических исследований: Учебное пособие. – М.: ИНФРА-М, 2009, с. 47-50: http://institutiones.com/download/books/2651-metody-ekonomicheskix-issledovanii-orexov. html

[6] *ვრცლად იხ.:* Кун Т. Структура научных революций: Пер. с англ. / Сост. В.Ю. Кузнецов. - М.: ООО „Издательство АСТ", 2003. - 605 с.: https://platona.net/load/knigi_po_filosofii/filosofija_nauki_tekhniki/ kun_t_struktura_ nauchnykh_revoljucij/30-1-0-3437

ტ. კუნი „ნორმალურ მეცნიერებას" განმარტავს, როგორც მეცნიერების განვითარების პერიოდს, როდესაც მასში ბატონობს რომელიღაცა კვლევითი პროგრამა, ემსახურება რა მოცემულ სამეცნიერო საზოგადოებას პარადიგმად. „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის განვითარების ევოლუციურ სტადიას, როდესაც არ არსებობს წანამძღვრები მეცნიერების ნახტომისებური განვითარებისათვის. ამასთან, „ნორმალური მეცნიერება" არ ისახავს მიზნად ახალი ფაქტების ან თეორიების აღმოჩენას, ნორმალურ მეცნიერულ კვლევაში წარმატება ამაში არ მდგომარეობს. თუმცა, კვლევითი პრობლემების დიდი უმრავლესობის გადაწყვეტა ხდება სწორედ „ნორმალური მეცნიერების" ჩარჩოებში და მისი ინსტრუმენტებით.

„ნორმალური მეცნიერების" პერიოდი, რომელიც განისაზღვრება, როგორც ერთი პარადიგმის ბატონობის პერიოდი, შეიძლება გრძელდებოდეს ათეულობითი წლებიდან ასეულობით და ათასეულობით წლებამდეც კი. მაგრამ კუნის თანახმად, ადრე თუ გვიან პარადიგმაში აღმოჩნდება „ანომალია", ე.ი. გროვდება მეცნიერული ფაქტები, რომლის ახსნაც შეუძლებელია მოცემული კვლევითი თეორიის მეთოდებისა და სტანდარტების პირობებში. თავდაპირველად მეცნიერები დაჟინებით ეძებენ მოცემული „ანომალიის" გადაწყვეტის გზებს ისე, რომ არ გამოვიდეს არსებული პარადიგმის საზღვრებიდან, მაგრამ ერთხელაც დგება მომენტი, როდესაც „ანომალიები" სიტყვასიტყვით არღვევს მას, როგორც დამპალ კედელს. ეს ეტაპი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „მეცნიერების კრიზისი", ხოლო ასეთი კრიზისიდან გამოსვლის სამ ვარიანტს განიხილავს ამერიკელი მეცნიერი.

შემთხვევა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს ტ. კუნს, ეს, სწორად რომ ვთქვათ, მისი ტერმინოლოგიით, „მეცნიერული რევოლუციაა". უკანასკნელი, როგორც წესი, იწყება იქიდან, რომ მეცნიერთა ჯგუფი მთელი სამეცნიერო საზოგადოებიდან ემიჯნება ძველ პარადიგმას და საფუძვლად იღებს სხვათა თეორიის, ჰიპოთეზისა და სტანდარტების ერთობლიობას. შემდეგ ამ ჯგუფს უერთდება მოცემული სამეცნიერო საზოგადოების დანარჩენი წარმომადგენლები. მეცნიერული რევოლუცია მოხდა, ასევე მეცნიერული გადატრიალება განხორციელდა საზოგადოების შემეცნებაშიც. ამ მომენტიდან ხდება ახალი მეცნიერული ტრადიციის ათვლა, რომელიც ხშირად არ შეესაბამება წინამორბედ ტრადიციას. „ნორმალური მეცნიერების" ტრადიცია, რომელიც აღმოცენდება მეცნიერული რევოლუციის შემდეგ, არა მარტო შეუსაბამოა, არამედ ხშირად, ფაქტობრივად არათანაზომადიც მანამდე არსებულ ტრადიციასთან.

ამგვარად, ტომას კუნის პარადიგმისა და მეცნიერული რევოლუციების კონცეფციები წარმოადგენს ერთობ შინაარსიან და პერსპექტიულ მეთოდოლოგიურ კონცეფციებს. კუნისეული ტერმინები „პარადიგმა", „ნორმალური მეცნიერება" და „მეცნიერული რევოლუცია" და თვით მისი თეორია მტკიცედ არის შესული როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალურ მეცნიერებათა არსენალში.

ი. ლაკატოსის კვლევითი პროგრამების კონცეფცია[7]: იმრე ლაკატოსი - რამოდენიმე ცნობილი ნაშრომის ავტორი მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიის დარგში. ყველაზე უფრო ცნობილია „მტკიცებულება და უარყოფა", „ფალსიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია", „მეცნიერების ისტორია და მისი რაციონალური რეკონსტრუქციები"[8].

ი. ლაკატოსის მეთოდოლოგიური გამოკვლევების ძირითადი პრინციპია ერთ მთელში მეცნიერების ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიის შეერთება. ამასთან დაკავშირებით, ის აყალიბებს შემდეგ მნიშვნელოვან დებულებას: „მეცნიერების ფილოსოფია მეცნიერების ისტორიის გარეშე ცარიელია; მეცნიერების ისტორია მეცნიერების ფილოსოფიის გარეშე ბრმაა". მაშასადამე ი. ლაკატოსის მიერ საკუთარი მეთოდოლოგიური კონცეციის შექმნის წანამძღვრად იქცა ისტორიულმეთოდოლოგიური და ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური ცოდნის სინთეზის ცდა. სწორედ ამის საფუძველზე იქნა დამუშავებული მისი თეორიის ცენტრალური ცნება - „სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა".

„სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა" (ან, უფრო მარტივად, „კვლევითი პროგრამა") წარმოადგენს ერთიანი კვლევითი და მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე განვითარებადი თეორიების გარკვეულ ერთობლიობას. სტრუქტურულად ის მოიცავს შემდეგ ელემენტებს: (ა) „მტკიცე ბირთვი" - პროგრამის ყველა თეორიის

[7] *ვრცლად იხ.:* Орехов А. М. Методы экономических исследований: Учебное пособие. – М.: ИНФРА-М, 2009, с. 50-53: http://institutiones.com/download/books/2651-metody-ekonomicheskix-issledovanii-orexov. html

[8] *ვრცლად იხ.:* Лакатос И. Избранные произведения по философии и методологии науки / Пер. с англ. И.Н. Веселовского, А.Л. Никифорова, В.Н. Поруса. - М.: Академический Проект; Трикста, 2008. - 475 с.: https://publications.hse.ru/mirror/pubs/share/folder/becnn68qge/direct/81021468

ფუნდამენტური პრინციპი,რომელიც ეხმარება მისი ერთიანობის შენარჩუნებას; (ბ) „დამცავი ქამარი" - პროგრამის დამხმარე ჰიპოთეზები; ის უზრუნველყოფს პროგრამის „მტკიცე ბირთვის" შენახვას. „დამცავმა ქამარმა" უნდა გაუძლოს მთავარ დარტყმას შემოწმების მხრივ; იცავს რა ამგვარად გამყარებულ ბირთვს, ის ვალდებულია შეეგუოს, გარდაიქმნას ან მთლიანად შეიცვალოს, თუკი ამას მოითხოვს დაცვის ინტერესები. თუ ეს ყველაფერი იძლევა პრობლემის პროგრესულ დაძვრას, კვლევითი პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. ის არის წარუმატებული, თუკი გამოიწვევს პრობლემის რეგრესული მიმართულებით სვლას; (გ) მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული პროგრამის გამოყენების პერსპექტივებს („დადებითი" ან „უარყოფითი" ევრისტიკა).

ყურადღებას გავამახვილებთ კვლევითი პროგრამის ბოლო ელემენტზე. „უარყოფითი ევრისტიკა", ი. ლოკატოსის მიხედვით, ნიშნავს ზოგიერთი შეზღუდვების არსებობას განსაზღვრული მეთოდოლოგიური წესების ფორმით, რომელიც იძლევა შემეცნების მცდარი გზებისგან აცილებას. „პოზიტიური ევრისტიკა", პირიქით, წარმოადგენს წესების კრებულს, რომელიც იძლევა პროგრამის ისეთნაირად მოდიფიკაციის საშუალებას, რომ მოხდეს მისი დაცვა და გაუმჯობესებაც კი.

„თუკი უარყოფითი ევრისტიკა განსაზღვრავს პროგრამის „მტკიცე ბირთვს", რომელსაც თავისი მომხრეების გადაწყვეტილებით ერგება „დამტკიცება", მაშინ „დადებითი ევრისტიკა" იქმნება მთელი რიგი მეტნაკლებად ნათელი დასკვნებით, მეტ-ნალებად დამაჯერებელი წინადადებებით, რომლებიც მიმართულია იმაზე, რომ შეცვალოს და განავითაროს კვლევითი პროგრამის „უარყოფილი ვარიანტები", როგორ მოდიფიცირდეს, დაზუსტდეს „უარყოფილი" დამცავი ქამარი".

ტ. კუნის კონცეფციისგან განსხვავებით, ი. ლაკატოსის თეორია მოითხოვს, რომ ე.წ. „ნორმალური მეცნიერების" პერიოდები, როცა ერთი კვლევითი პროგრამაა გაბატონებული, ძალზედ იშვიათია მეცნიერების ისტორიაში და, რომ კუნისეული „პარადიგმა" სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა კვლევითი პროგრამა დროებით ხელში ჩაგდებული მონოპოლიით სამეცნიერო საზოგადოებაში. უფრო ხშირად არის ისეთი პერიოდები, როდესაც კვლევითი პროგრამები ბევრია და ისინი ებმებიან კონკურენციაში ერთმანეთის მიმართ.

„მეცნიერების ისტორიაში იყო და იქნება კვლევითი პროგრამების (თუ გნებავთ, „პარადიგმების") შეჯიბრების ისტორია; მაგრამ ის არ იყო და არ უნდა იყოს ნორმალური მეცნიერების პერიოდების მონაცვლეობა: რაც უფრო ხშირია მეტოქეობა, მით უკეთესია პროგრესისათვის". ამა თუ იმ კვლევითი პროგრამის პოტენციალი, საბოლოო ჯამში, განისაზღვრება ევრისტიკული ძალით, რომელიც აღნიშნავს პროგრამის შესაძლებლობას თეორიულად იწინასწარმეტყველოს ახალი ფაქტების გაჩენა.

ი. ლოკატოსი გამოყოფს მეცნიერების ორ ძირითად სახეობას, რომლებიც შეიძლება დავუკავშიროთ მისი განვითარების ორ პერიოდს. „მომწიფებული მეცნიერება" და „მოუმწიფებელი მეცნიერება". „მომწიფებული მეცნიერება" - ეს მეცნიერების ის ტიპია, რომელშიც ადგილი აქვს მეტოქეობას - კონკურენციას სხვადასხვა კვლევით პროგრამებს შორის. მის პირისპირ დგას „მოუმწიფებელი მეცნიერება", სადაც კვლევა ხორციელდება „გაცვეთილი მაგალითებითა და შეცდომებით". ამასთან, მომწიფებული მეცნიერება შედგება კვლევითი პროგრამებისაგან, რომელთა მეშვეობითაც ხდება არა მარტო უცნობი ფაქტების წინასწარმეტყველება, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხდება ახალი თეორიების წინასწარ განჭვრეტა. მომწიფებული მეცნიერება, განსხვავებით მოსაწყენი თანმიმდევრული ცდებისა და შეცდომებისაგან, ფლობს „ევრისტიკულ ძალას". მძლავრი პროგრამის დადებითი ევრისტიკა იმთავითვე იძლევა „დამცავი ქამრის" ზოგად სქემას: მოცემული ევრისტიკული ძალა ქმნის თეორიული მეცნიერების ავტონომიას.

ამგვარად, ი. ლაკატოსის მეცნიერულ-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია წარმოადგენს ძალზე შედეგიან სამეცნიერო პროექტს. ის აგრეთვე, თავის მხრივ, ინდივიდუალური კვლევითი პროგრამაა მეცნიერების მეთოდოლოგიაში და თავისი ევრისტიკული ძალით უპირისპირდება ტ. კუნის მეცნიერული რევოლუციების პროგრამას და პარადიგმას; ორი მსგავსი პროგრამის კონკურენციას ცოდნის დარგის ისეთ რთულ სფეროში, როგორიცაა მეთოდოლოგია, შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ და, სავარაუდოდ, ბიზნესის მკვლევარს და მეთოდოლოგს - ასევე ყოველთვის ექნება არჩევანი, რომელი მეთოდოლოგია - ტ. კუნის თუ ი. ლაკატოსის - გამოიყენოს თავისი მეთოდოლოგიური იდეებისა და კონცეფციების შემუშავებისას.

კარლ პოპერის მეთოდოლოგიური პროგრამა[9]: კარლ რაიმუნდ პოპერი - მე-20 საუკუ-

[9] *ვრცლად იხ.:* Орехов А. М. Методы экономических исследований: Учебное пособие. – М.: ИНФРА-М, 2009, с. 54-58: http://institutiones.com/download/books/2651-metody-ekonomicheskix-issledovanii-orexov. html

ნის დასავლეთის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. მან თავი გამოიჩინა, როგორც წამყვანმა სოციალურმა ფილოსოფოსმა, ტოტალიტარიზმის მოწინააღმდეგემ ყველა მის გამოვლენაში („ღია საზოგადოება და მისი მტრები", 1945, რუს. 1992)[10] და როგორც უდიდესმა ეპისტემოლოგმა (სპეციალისტი შემეცნების თეორიის დარგში) და თავისი დროის მეთოდოლოგმა. პოპერის ძირითადი ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური ნაშრომები თავმოყრილია შრომებში „მეცნიერული ცოდნის ლოგიკა და ზრდა"[11] და „ევოლუციური ეპისტემოლოგია და სოციალური მეცნიერების ლოგიკა"[12].

მეთოდოლოგიაში კ. პოპერი არის კრიტიციზმის, კრიტიკული რაციონალიზმის ან კრიტიკული ემპირიზმის მიმართულების გამოჩენილი წარმომადგენელი. ამ მიმართულების არსი, აგრეთვე პოპერის თვით ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ მტკიცებულებამდე: „ყველაფერს უყურე კრიტიკის თვალით".

პოპერის აზრით, თავად კრიტიკა შეიძლება იყოს განსხვავებული: აუცილებელია განვასხვავოთ კრიტიკის სწორი მეთოდი მცდარისაგან. სწორი კრიტიკული მეთოდის ძირითადი ნიშნები შემდეგია: რაციონალურობა (დასაბუთებულება, საფუძვლიანობა); დიალექტიკურობა (წინააღმდეგობათა გამოვლენისკენ მისწრაფება); მეცნიერული ცოდნის აპელაცია (სციენტიზმი); დედუქტივიზმი (აქცენტი დედუქციურ და არა ინდუქციურ მსჯელობაზე), მისწრაფება ნებისმიერი ცოდნის (თუნდაც, არსებითად უარყოფილის) შექმნისაკენ (ფალსიფიკაციონიზმი).

პოპერის მიხედვით, კრიტიკული რაციონალიზმის მეთოდი წარმატებით გადალახავს ყველა წინააღმდეგობას ობიექტური მეცნიერული ცოდნის გზაზე. ის აბსოლუტურად შეუცვლელია როგორც მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიაში, ასევე მის ეპისტემოლოგიაში. „არანაირ განსხვავებულ მეთოდს არ შეუძლია დაგვეხმაროს გავამართლოთ ჩვენი მეთოდოლოგიური კონვენციები და დავამტკიცოთ მათი ჭეშმარიტება".

კ. პოპერის მეთოდოლოგიური და ეპისტემოლოგიური პროგრამის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი *ევოლუციურობა*. კ. პოპერი მეცნიერების განვითარებას განიხილავს, როგორც ევოლუციურ პროცესს - ბუნების სამყაროში მიმდინარე პროცესების ანალოგიურად. ამასთან დაკავშირებით, პოპერი აყალიბებს სამ ძირითად თეზისს: [1] „ადამიანის შემეცნების სპეციფიკური უნარი, ისევე, როგორც მეცნიერული ცოდნის შექმნის უნარი, წარმოადგენს ბუნებრივი შერჩევის შედეგს. ისინი მჭიდროდ დაკავშირებული არიან სპეციფიკური ადამიანური ენის ევოლუციასთან"; [2] „მეცნიერული ცოდნის ევოლუცია წარმოადგენს ძირითადად სულ უფრო და უფრო საუკეთესო თეორიების ჩამოყალიბების ევოლუციას. ეს დარვინისტული პროცესია. თეორია უკეთ შემგუებელი ხდება ბუნებრივი შერჩევის შედეგად. ისინი გვაძლევენ სინამდვილის შესახებ სულ უფრო და უფრო საუკეთესო ინფორმაციას"; [3] „ასეთი ამოცანების გადაწყვეტისთვის შესაძლებელია მხოლოდ სპეციფიკური ადამიანური ენის გამოყენება".

კ. პოპერის ევოლუციური ეპისტემოლოგია წარმოადგენს საკმაოდ პერსპექტიულ მეცნიერულ სქემას, რომელსაც შეუძლია წარმატებით ჩაერთოს საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა ზოგად ევოლუციურ წარმოდგენებში. საბოლოო ჯამში, თანამედროვე ფილოსოფიის და მეცნიერების მეთოდოლოგიის მკვლევარები იხრებიან კ. პოპერის მეთოდოლოგიური იდეების გადაჭარბებული შეფასებისკენ, თვლიან რა, რომ შესაძლებელია მათი საკმაოდ ეფექტური გამოყენება ნებისმიერი მეთოდოლოგიური პროგრამის ჩარჩოებში.

ზემოაღნიშნული ცნობილი მეთოდოლოგიური კონცეფციების თანახმად, კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებით, მეთოდოლოგიისა და მეთოდის არჩევა, ისე როგორც პრობლემის განსაზღვრა, არის ერთგვარი „ხელოვნება", რომლის ათვისება აუცილებელია კვლევითი საქმიანობის დაწყებისთანავე. წარმატებები ამ მიმართულებით ემყარება ინტუიციას, რომელიც ყალიბდება შემდეგი ფაქტორების ზემოქმედებით: (1) დისციპლინის ცოდნა და სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის უნარი; (2) ფუნდამენტური ცოდნა არა მარტო საკუთარ დისციპლინაში,

[10] *ვრცლად იხ.:* Поппер К. Открытое общество и его враги (в 2-х томах) // Перевод с английского языка, под общей редакцией В. Н. Садовского. - М.: Феникс, Международный фонд «Культурная инициатива», 1992. - 976 с.; http://baguzin.ru/wp/karl-popper-otkrytoe-obshhestvo-i-ego-vr/

[11] *ვრცლად იხ.:* Поппер К. Логика и рост научного знания / Перевод с английского; Составление, общая редакция и вступительная статья доктора философских наук В. Н. Садовского. - М.: „Прогресс", 1983. – 604 с.: http://skepdic.ru/wp-content/uploads/2013/05/popper.pdf

[12] *ვრცლად იხ.:* Поппер К. Эволюционная эпистемология и логика социальных наук / Составление Д. Г. Лахути, В.Н.Садовского и В. К. Финна; перевод с английского Д. Г. Лахути; вступительная статья и общая редакция В. Н. Садовского; послесловие В. К. Финна. - М.: Эдиториал УРСС, 2000. - 464 с.: http://www.pseudology.org/psyhology/EvolutionEpistemology2.pdf

არამედ მონათესავე მეცნიერებებში (ბიზნესმენებისა და მენეჯერებისათვის - ეს არის მათემატიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, სოციოლოგია, ფსიქოლოგია და ა.შ.); (3) თანამედროვე სამეცნიერო პერიოდიკის ანალიზის უნარი; (4) საკვლევ პრობლემაზე მომუშავე რიგი ავტორების ცოდნა და მათი კვლევის შედეგების ობიექტური შეფასების უნარი.

ბიზნესის კვლევაში, სხვა სოციალურ მეცნიერებებში წარმოებული კვლევების მსგავსად, ძირითადად, ორი სახის მეთოდოლოგია გამოიყენება - რაოდენობრივი და თვისებრივი. პირველ შემთხვევაში საქმე რიცხვებთან და საკვლევი საგნის რაოდენობრივ გაზომვასთან გვაქვს, მეორე შემთხვევაში კი, უპირატესობა სიტყვებს და თვისებრივ მონაცემებს ენიჭება. რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ფარგლებში შეგვიძლია განვიხილოთ კლასიკური ექსპერიმენტის ან გამოკითხვის მეთოდი, რომლის შედეგადაც ინფორმაციას რიცხვების სახით ვიღებთ. ხოლო თვისებრივი მეთოდოლოგიის შემთხვევაში კარგი მაგალითია ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდი. მისი გამოყენებით ინფორმაციას ვიღებთ ტექსტის და სიტყვების სახით. ერთი კვლევის ფარგლებში შესაძლებელია ორივე მეთოდოლოგიის გამოყენება, ვინაიდან ისინი ურთიერთშემავსებელია.

მაგალითად, თუ საკითხი არ არის კარგად შესწავლილი, შეგვიძლია თვისებრივი მეთოდოლოგიის გამოყენებით ჩავატაროთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის საფუძველზეც შევიმუშავებთ კითხვარს და ჩავატარებთ რაოდენობრივ კვლევას.

კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია

სამეცნიერო კვლევის წარმატება და დასახული მიზნების მიღწევა მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება გამოყენებული კვლევის მეთოდებით. *მეთოდი* (ბერძნ. მეტჰოდოს - გზა, კვლევის ხერხი, სწავლება, ქმედება) არის ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად გათვალისწინებული მდგრადი წესების განსაზღვრული ერთობლიობა. მეთოდი - ეს არის აზროვნების წესი ან პრაქტიკული ქმედება, ასევე ამა თუ იმ ობიექტის კვლევის საშუალება ან ინსტრუმენტი.

კვლევის ადექვატური მეთოდების შერჩევას ხელს უწყობს მათი კლასიფიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა შემდგომში მოხდეს ცალკეული კვლევების გაერთიანება ჯგუფებად (კლასებად) და გაადვილდეს კვლევის ობიექტის ანალიზი. ბიზნესის კვლევის მეთოდების კლასიფიკაციის ვარიანტები წარმოდგენილია

3.1. ცხრილში.

დავიწყოთ ყველაზე მარტივი ტიპოლოგიით (კლასიფიკაციით) და შემოვიტანოთ პირველი კრიტერიუმი ბიზნესის კვლევის მეთოდებისათვის – კვლევისადმი მიდგომის კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმის თანახმად, მიღებულია ბიზნესის კვლევის მეცნიერული და არამეცნიერული მეთოდების გამოყოფა.

მოცემული სასწავლო-პრაქტიკული სახელმძღვანელოს ფარგლებში განიხილება მხოლოდ ბიზნესის კვლევის *მეცნიერული მეთოდები,* რომლებიც წარმოადგენენ რაციონალურ, მტკიცებულებით და სისტემურ კვლევაზე დაფუძნებული სინამდვილის ათვისების წესებს[13].

მეცნიერული მეთოდების ნიშნებს განეკუთვნება მათი სიმკაცრე, ერთმნიშვნელოვანება, ეფექტიანობა, სიმარტივე და ევრისტიკულობა.

კვლევის მეცნიერული მეთოდის *სიმკაცრეში* გაგებულ უნდა იქნეს მისი რაციონალურობა, მტკიცებულებითობა, თეორიული წყობის ყველა სტრუქტურული ელემენტის შეთანხმებულობა. შიდა დაუპირისპირებლობა, თეორიაში არსებული მტკიცებულებების ერთმანეთთან აზრობრივი შესატყვისობა, ახასიათებს მეცნიერული მეთოდის *ერთმნიშვნელოვანებას.* მეცნიერული მეთოდის *ეფექტიანობა* განისაზღვრება უკანასკნელი ნაბიჯების ხარჯზე პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობით. კვლევის მეთოდის *სიმარტივე (ეკონომიურობა)* არის მეცნიერული შედეგის მიღწევა მინიმალური ქმედებების პირობებში. მეცნიერული მეთოდის *ევრისტიკულობა* - ეს არის მის მიერ ახალი შედეგის (ცოდნის) მოტანის უნარი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ან გავრცელებული იქნეს მოცემული მეცნიერების ახალ სფეროში ან ცოდნის სხვა სფეროებში.

ბიზნესის კვლევის არამეცნიერული მეთოდები წარმოადგენენ ისეთ მეთოდებს, რომლებიც ეფუძნება ბიზნეს-სინამდვილის კვლევის პროცესისადმი შეზღუდულად რაციონალურ (ან სრულად არარაციონალურ), არამტკიცებულებით და არასისტემურ მიდგომას. აქ „არამეცნიერულობის" მთავარ ნიშნად გამოდის არასისტემურობა, ქაოტურობა, მიმართვა რელიგიის, ავტორიტეტების, იდეოლოგიის, ყოველდღიური ცოდნისადმი.

[13] *გასაგებია,* რომ სამეცნიერო მეთოდის მთავარ მიზნად გვევლინება ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების - ცოდნის - მიღება, თვით შემეცნების სუბიექტისაგან დამოუკიდებლად.

ცხრილი 3.1. კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია

საკლასიფიკაციო ნიშანი	მეთოდების სახეები	მაგალითები
1	2	3
კვლევისადმი მიდგომა	მეცნიერული მეთოდები	რაციონალურ, მტკიცებულებით და სისტემურ კვლევაზე დაფუძნებული მეთოდები, რომლებიც ფლობენ სიმკაცრის, ერთმნიშვნელოვანების, ეფექტიანობის, სიმარტივისა და ევრისტიკულობის თვისებებს
	არამეცნიერული მეთოდები	მიმართვა რელიგიის, ავტორიტეტების, იდეოლოგიის, ყოველდღიური ცოდნისადმი
კვლევის მეცნიერული მეთოდები		
გამოყენების სფერო	საყოველთაო მეთოდები	ფილოსოფიის მეთოდები (ე.ი. ფილოსოფიის პრინციპები და კანონები), რომლებიც შესაძლოა გაშუალებულად იქნეს გამოყენებული ბიზნესის კონკრეტულ კვლევებში
	ზოგადი მეთოდები	მეთოდები, რომლებიც, ბიზნესთან ერთად, გამოიყენება მეცნიერების ზოგიერთ სხვა დარგშიც, მაგრამ არ მოიცავს მეცნიერებას მთლიანად (მათემატიკა, სტატისტიკა, ექსპერიმენტის სახეები, დაკვირვების სახეები, მოდელირება და ა.შ.)
	კერძო (სპეციალური) მეთოდები	მეთოდები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ბიზნესის კვლევებში (ბიზნესის დაკვირვება, ბიზნესის ესპერიმენტი და ა.შ.)
შემეცნების დონე	ემპირიული მეთოდები	დაკვირვება, შედარება, აღწერა, გაზომვა, ანკეტური გამოკითხვა, გასაუბრება, ტესტირება, ექსპერიმენტი
	თეორიული მეთოდები	ანალოგია, ჰიპოთეზა, ანალიზი, სინთეზი, აბსტრაგირება, ინდუქცია, დედუქცია, ინტერპრეტაცია, ფორმალიზება
საფუძვლების სისტემა	ფორმალური მეთოდები	ანალიტიკური მეთოდები ანუ ელემენტარული მათემატიკის მეთოდები (ფუნქციონალური ანალიზი) და მათემატიკური ანალიზის მეთოდები (ინტეგრალური, დიფერენციალური, ვარიაციული გამოთვლები), ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები (მათემატიკური სტატისტიკა, ალბათობის თეორია), ოპერაციის კვლევის მეთოდები, არჩევანის და გადაწყვეტილების მიღების თეორიის მეთოდები, მათემატიკური ლოგიკის მეთოდები, მათემატიკური და იმიტაციური მოდელირება და სხვ.
	ევრისტიკული მეთოდები	ინდუქცია, დედუქცია, სინთეზი და ა.შ.
ლოგიკის გამოყენების ხარისხი	ლოგიკური მეთოდები	დედუქცია, ინდუქცია, აქსიომატიკა, ანალოგია, მტკიცებულება, ლოგიკური დასაბუთება და სხვ.
	არალოგიკური მეთოდები	დაკვირვება, ინტუიცია და ა.შ.
კვლევის ლოგიკური მეთოდები		
დასაბუთების სისტემა	რაოდენობრივი მეთოდები	მათემატიკური მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები
	თვისებრივი მეთოდები	დაკვირვება, ანკეტირება, გამოკითხვა, გასაუბრება და სხვ.

არამეცნიერული ბიზნეს-ცოდნის ყველა სახე შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგ სამ ჯგუფად: 1. რელიგიური და მისტიკური ბიზნეს-ცოდნა; 2. „იდეოლოგიური", „ილუზიური" ბიზნეს-ცოდნა; 3. ჩვეულებრივი ბიზნეს-ცოდნა.

არამეცნიერული ბიზნეს-ცოდნის თითოეული სახე აყალიბებს ბიზნესის კვლევის საკუთარ მეთოდებს, რომლებიც მიმართულია ბიზნესის ცოდნის შესახებ „ნამდვილი ჭეშმარიტების" მიღწევაზე. რეალურად, აქ შესაძლოა მიღებულ იქნეს სამგვარი შედეგი: ა) ან ბიზნეს-ჭეშმარიტება (ბიზნესის მოვლენებსა და ფაქტებზე სწორი, მეცნიერულთან მიახლოებული წარმოდგენა; ბ) ან ბიზნეს-გაურკვევლობა (ბიზნესის არასწორი ცოდნა); გ) ან ბიზნეს-სიყალბე (ბიზნესის ცოდნის შეგნებულად გაყალბება, იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად მისი გამოყენება).

მოვიტანთ ბიზნესის კვლევის მეთოდების გამოყენების კონკრეტულ მაგალითებს არამეცნიერული ბიზნეს-ცოდნის თითოეული სახის მიმართ.

რელიგიურ-მისტიკური მიდგომის ილუსტრაციისათვის ავიღოთ მევახშეობის პრობლემისადმი მევახშური მიდგომა ანტიკურ და შუასაუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიაში. ისმის კითხვა: რატომ აკრიტიკებდნენ ქრისტიანი მოაზროვნეები სასესხო პროცენტსა და კრედიტს (რომლის გაცემითაც დაკავებული იყვნენ მევახშეები), მაშინ როცა სამეურნეო ურთიერთობებს იმ ეტაპზე ამის გარეშე არსებობა არ შეეძლო.

საგულისხმოა, რომ მათ მიერ გამოყენებული მეთოდი იყო უკიდურესად არამეცნიერული: ეს იყო მიმართვა ავტორიტეტზე (ან ავტორიტეტის რწმენა) - წმინდა წიგნის (ბიბლიის) ავტორიტეტი და არისტოტელის ავტორიტეტი. თუ ღმერთი კრძალავდა მევახშეობას, ეს უნდა მიეღოთ უსიტყვოდ და ყოყმანის გარეშე. „ღმერთი ყოველთვის სწორია" – ეს პრინციპი ვრცელდებოდა სამეურნეო საქმიანობაზეც.

მეორე არგუმენტი იყო არისტოტელეს, როგორც ამ საკითხში უკონკურენტო უპირობო ავტორიტეტის ციტირება. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ფული შეიძლება გაიყიდოს მხოლოდ საკუთარი ფასის მიხედვით, რომელიც უპირობოდ არის მართალი. თუ ვინმე აძლევს ფულს სესხად და იღებს იქიდან პროცენტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფული იყიდება საკუთარ ღირებულებაზე მეტად და მსესხებელი იხდის არა მარტო ფულის ფასს, არამედ მისი გამოყენების ფასსაც. საქონელი (ე.ი. ფული), სინამდვილეში იყიდება ორჯერ, რაც სამართლიანი არაა.

მაშასადამე, ავტორიტეტზე ციტირება, რომელიც დაფიქსირებულია წერილობით წყაროებში (ბიბლია, არისტოტელეს თხზულებები), სარგებლობდა მნიშვნელოვან არგუმენტად ეკონომიკურ დავებში და De facto გამოიყენება, როგორც ბიზნესის კვლევის არამეცნიერული მეთოდი.

ბიზნესის ცოდნისადმი „ედეოლოგიური" („ილუზიური") მიდგომის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომუნისტური (სოციალისტური) იდეოლოგია, რომელიც ბატონობდა საბჭოთა კავშირში. ამ იდეოლოგიამ აღიარა მხოლოდ ერთი ეკონომიკური თეორია, რომელიც ეყრდნობოდა მარქსის,ენგელსისა და ლენინის თეორიებს. მარქსიზ-ლენინიზმის კლასიკოსების „ციტირება" იყო ამ მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მეთოდი. ყველა მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და სხვა ნაშრომები, შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მარქსიზმ-ლენინიზმთან. ყოველ გადახვევას კრძალავდა ცენზურა ან ზემდგომი სამეცნიერო ინსტანციები.

ბიზნესის კვლევის მსგავს არამეცნიერულ მეთოდს შეიძლება ეწოდოს „მითოლოგიური" ან „იდეოლოგიური", რადგანაც მისთვის დამახასიათებელია ბიზნესის ფაქტების მცდარი (ან ყალბი) ინტერპრეტაცია; მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის თანამედროვე მოთხოვნებთან არაადეკვატური სტატისტიკური მეთოდების გამოყენება; ბიზნესის კვლევებში სრულიად დაუსაბუთებული აქსიომატური პრინციპების მიღება; ბიზნესის სფეროში დასკვნებისა და შედეგების კონსტრუირების პირდაპირი სოფისტიკა.

ამრიგად, „იდეოლოგიური" („ილუზიური") ცოდნა თავისი კვლევის მეთოდებით პირდაპირ დისკრედიტაციას უკეთებს მეცნიერულ მეთოდს ბიზნესის შემეცნებაში. აქ ხდება ღირებულებითი და ფაქტუალური მიდგომების გადაკვეთა, როცა ღირებულებები ყლაპავენ ფაქტებს და ფასეულობები უარყობენ ფაქტებს. ეს იწვევს ბიზნესის შემეცნების სერიოზულ რღვევას, დოგმატური ბიზნესის ცოდნის ფორმირებას, რომელიც ვერ ასახავს რეალურ ურთიერთობებს ბიზნესის თეორიასა და პრაქტიკაში.

ჩვეულებრივი ბიზნეს-ცოდნა ასევე მიეკუთვნება შემეცნების არამეცნირულ სფეროს. ეს არი ცოდნა, რომელიც ემყარება საღ აზრსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ასეთი ცოდნა ფართოდ გავრცელებულია იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც არა აქვთ პროფესიული ბიზნეს განათლება. ამასთან, ასეთი ცოდნის მიღება (სწავლება სამუშაო ადგილზე, ბიზნესის ცოდნის გადაცემა ოჯახის უფროსებისგან უმცროსებზე, თვით სწავლა) მრავალ ადამიანს ინდივიდუალური ბიზნეს-წარმატების მიღწევის საშუალებას აძლევს,

- ისინი ხდებიან ფირმებისა და კორპორაციების მმართველები.

მაგრამ ჩვეულებრივი ცოდნის გამოყენება ბიზნესის კვლევის მეთოდად ძალიან პრობლემატურია. პირველი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვეულებრივი ცოდნა შეიცავს მნიშვნელოვან „გამოუხატავ" ელემენტებს; ასეთი ცოდნა გარკვეულად „პიროვნულ ცოდნად" შეიძლება ჩაითვალოს და მისი გადაცემა სხვისთვის დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ნებისმიერი ცოდნა (მათ შორის, მეცნიერულიც) თავის თავში მოიცავს „გამოუხატავ" ელემენტებს, მაგრამ განსაკუთრებით ექსტენსიურად იგი წარმოდგენილია ჩვეულებრივი ბიზნეს-ცოდნაში. შეიძლება ითქვას ასეთი ცოდნა უფრო „სდუმს", ვიდრე რაიმეს „აცნობებს" თავის მოსაუბრეს, რადგანაც არაა თავის თავში ბოლომდე დარწრმუნებული.

ჩვეულებრივი ბიზნეს-ცოდნის შემდეგი „ცოდვაა" მისი „ლოკალურობა", „ფრაგმენტულობა": ის ძირითადად გამოიყენება რომელიმე კონკრეტულ ადგილას (ფირმა, კორპორაცია და ა.შ.), ხოლო მისი ფართოდ გავრცელების მცდელობა ყოველთვის მარცხით მთავრდება. განსაკუთრებით მარცხდება ის პირი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ეს ცოდნა გლობალური მასშტაბით – დარგის, რეგიონის ან ქვეყნების მასშტაბით. აქ ის ვერ გაექცევა პროფესიონალი ბიზნესმენების ცოდნას.

გამომდინარე აქედან, ჩვეულებრივი ბიზნეს-ცოდნა შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესის ცოდნის დაბალ დონედ, რომელიც ნაკლებად გამოდგება ბიზნესის კვლევის მეთოდად გამოყენებისათვის. ამიტომ ყველა ჩვენი შემდგომი კლასიფიკაცია შეეხება მხოლოდ ბიზნესის შემეცნების მეცნიერულ მეთოდებს. მხოლოდ ამ მეთოდებს (მათი ადექვატურად გამოყენებისას) შეუძლიათ მკვლევარის მიყვანა ობიექტური ჭეშმარიტების ხასიათის მქონე შედეგებამდე.

გამოყენების სფეროს მიხედვით, სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიის კლასიფიკაციის ანალოგიურად, ბიზნესის კვლევის ყველა მეთოდი შესაძლებელია დაყოფილი იქნეს საყოველთაო, ზოგად და კერძო (სპეციალურ) მეთოდებად. ეს ცნებები სრულ კორელაციაშია საყოველთაო, ზოგადი და კერძო მეთოდოლოგიის ცნებებთან.

⇨ ბიზნესის კვლევის *საყოველთაო მეთოდს* წარმოადგენს ფილოსოფიის მეთოდები (ე.ი. ფილოსოფიის პრინციპები და კანონები), რომლებიც შესაძლოა გაშუალებულად იქნეს გამოყენებული ბიზნესის კონკრეტულ კვლევებში.

⇨ ბიზნესის კვლევის ზოგადი მეთოდები, ბიზნესთან ერთად, გამოიყენება მეცნიერების ზოგიერთ სხვა დარგშიც, მაგრამ არ მოიცავს მეცნიერებას მთლიანად (მათემატიკა, სტატისტიკა, ექსპერიმენტის სახეები, დაკვირვების სახეები, მოდელირება და ა.შ.).

⇨ ბიზნესის კვლევის კერძო (სპეციალურ) მეთოდებს მიეკუთვნება მხოლოდ ბიზნესის კვლევებში გამოყენებული მეთოდები (ბიზნესის დაკვირვება, ბიზნესის ექსპერიმენტი, ბიზნესის მოდელირება და ა.შ.)

შემეცნების დონისაგან დამოკიდებულებით, გამოყოფენ ემპირიული და თეორიული დონის მეთოდებს.

⇨ ემპირიულ დონეს მიეკუთვნება ცოდნა, რომელიც მიიღება მატერიალური პრაქტიკის შედეგად ან სინამდვილესთან უშუალო კონტაქტის წყალობით. *ემპირიულ მეთოდებს* უწოდებენ რეალობის შემეცნების მეთოდებს, რომლებიც მოქმედებენ ცდების დონეზე, მაგალითად, დაკვირვება, გაზომვა, ექსპერიმენტი. ამ მეთოდების გამოყენება ვარაუდობს ადამიანის გრძნობის ორგანოების მიმართვას საქმიანობის ამა თუ იმ ფორმაში, სინამდვილის ასახვის გრძნობით ფორმებზე დაყრდნობას.

⇨ თეორიული ცოდნა წარმოადგენს განზოგადების, აბსტრაგირების, იდეალიზებული ობიექტების შემოტანის, მათემატიზაციის შედეგს. *თეორიული მეთოდების* რიცხვს მიეკუთვნება ანალოგიის, ჰიპოთეზის, ანალიზის, სინთეზის, ინდუქციის, დედუქციის, ინტერპრეტაციის, ფორმალიზების, სხვადასხვაგვარი მოდელების გამოყენება, ასევე ისტორიული და ევოლუციური ანალიზი და ა.შ.

საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული კლაციფიკაცია, რომლის დროსაც ბიზნესის კვლევები, საფუძვლების სისტემის შესაბამისად, ლაგდება მეთოდთა ორ ფუძემდებლურ კლასად: ფორმალური და ევრისტიკული. *ფორმალური მეთოდები* ეყრდნობა ზუსტ აბსტრაქტულ ენებს (მათემატიკურს, ფორმალური ლოგიკის და სხვ.), მოდელებს, ობიექტებს. ფორმალურ მეთოდებს მიეკუთვნება, მაგალითად:

- ანალიტიკური მეთოდები ანუ ელემენტარული მათემატიკის მეთოდები (ფუნქციონალური ანალიზი) და მათემატიკური ანალიზის მეთოდები (ინტეგრალური, დიფერენციალური, ვარიაციული გაანგარიშებები);
- ალბათურ-სტატისტიკური მეთოდები (მათემატიკური სტატისტიკა, ალბათობის თეორია);
- ოპერაციათა კვლევის მეთოდები;
- არჩევანისა და გადაწყვეტილების მიღე-

ბის თეორიის მეთოდები;

- მათემატიკური ლოგიკის მეთოდები;
- მათემატიკური და იმიტაციური მოდელირება.

სიტყვა „ევრისტიკა" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან ჰეურისცო და ქართულად ნიშნავს „ახლის გაგებას", „აღმოჩენას". აქედან გამომდინარე, *ევრისტიკული მეთოდის* ქვეშ მოიაზრება ამოცანის გადაჭრის სპეციალური ლოგიკური წესები, რომელიც აგებულია მეცნიერული შემეცნების მეთოდებზე, წარმოადგენს ადამიანური შემეცნების იმიტაციას სპეციალური წესების, ხერხების, განზოგადების, სხვადასხვა პროცედურების გამოყენებით და მიმართულია ვარიანტების გადარჩევის შემცირებაზე. ევრისტიკულ მეთოდებს მიეკუთვნება:

- მეთოდები, როგორც ადამიანისათვის დამახასიათებელი მექანიზმების ერთობლიობა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება შემოქმედებითი ამოცანების გადაჭრა (დედუქციური და ინდუქციური მეთოდები, ანალოგიის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი) და მიეკუთვნება მეცნიერული შემეცნების ზოგად მეთოდებს;
- ამოცანების გადაჭრის დროის შემცირებაზე მიმართული მეთოდები (გადარჩევაზე მიმართული პროცედურა, მატრიცული მეთოდები და სხვ.);
- ექსპერტული შეფასების მეთოდები.

ბიზნესის კვლევის მეთოდების კლასიფიკაციის კიდევ ერთი წესი - ეს არის მათი დაყოფა, ლოგიკის გამოყენების ხარისხის მიხედვით,- ლოგიკურ და არალოგიკურ მეთოდებად.

⇨ *ლოგიკური მეთოდები* ეფუძნება ლოგიკას: ფორმალურს და მათემატიკურს და წარმოადგენს ნიშან-სიმბოლურ სისტემას, რომელიც ასახავს მეცნიერული შემეცნების ინსტრუმენტებს და შედეგებს. ლოგიკური მეთოდების გამოყენების მაგალითია ინდუქციის, დედუქციის, ანალოგიის, ფორმალიზაციის და მათემატიზაციის მეთოდები, ინტერპრეტაციის მეთოდი ბიზნესის ფაქტებისა და მოვლენების ახსნაში და ა.შ.

⇨ *არალოგიკური მეთოდები* წარმოადგენს ლოგიკური მეთოდების ერთგვარ ანტიპოდს და თავისი სტრუქტურით არ არის დაკავშირებული ფორმალურ და მათემატიკურ ლოგიკასთან. ამასთან, მათი მნიშვნელობა ბიზნესის კვლევებში საკმაოდ დიდია. მაგალითად, ინტუიცია, როგორც კვლევის არალოგიკური მეთოდი, ხშირად წინ უსწრებს კვლევის ლოგიკურ მეთოდებს.

ბიზნესის კვლევის მეცნიერული ლოგიკური მეთოდები იმისაგან დამოკიდებულებით, თუ დასაბუთების როგორი სისტემა გამოიყენება მასში, იყოფა რაოდენობრივად და თვისებრივად.

⇨ *კვლევის რაოდენობრივი მეთოდები* ეფუძნება გაზომვადი სიდიდეების გამოყენებას, რომლებიც, როგორც წესი, გამოსახულია რიცხვებში. რაოდენობრივ მეთოდებს განეკუთვნება მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები, მაგრამ გამოყენებითი თვალსაზრისით, ეს მეთოდები ერთიანდება ერთ ზოგად - ეკონომეტრიკულ-მეთოდში.

⇨ *კვლევის თვისებრივი მეთოდები* ეფუძნება სიტყვიერ აღწერას, საკვლევი ობიექტის თვისებებისა და მახასიათებელი ნიშნების ახსნასა და ინტერპრეტაციას.

ბიზნესის კვლევის შესრულებისას *მეთოდის* ცნება განსხვავებული უნდა იქნეს კვლევის ტექნიკის, პროცედურის, მეთოდიკის ცნებებისაგან. აღნიშნულ ცნებათა ურთიერთკავშირი ასახულია **3.2. ნახაზზე.**

კვლევის მეთოდოლოგია არის ცოდნის სხვადასხვა ფორმის მოზიდვის თანმიმდევრობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ბიზნესის კვლევის ძირითადი პრინციპები: ობიექტურობა, კვლავწარმოებითობა, მტკიცებულებითობა (ვერიფიკაცია), და მიღებული შედეგების სიზუსტე. *მეთოდი* წარმოადგენს გარკვეული მდგრადი წესების ერთობლიობას, ობიექტური სინამდვილის შემეცნების ხერხს, რომლის დანიშნულება არის რომელიმე დასახული მიზნის მიღწევა. *კვლევის მეთოდიკა* არის კვლევის წესებისა და ხერხების ერთობლიობა, მათი გამოყენებისა და მათი საშუალებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის თანმიმდევრობა. *კვლევის ტექნიკა* წარმოადგენს სპეციალური წესების ერთობლიობას ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისათვის. *კვლევის პროცედურა* არის ქმედებათა თანმიმდევრობა და კვლევის ორგანიზაციის წესი.

კვლევის ორგანიზების პრინციპები

კვლევის ორგანიზება, როგორც წესი, მოიცავს კვლევისათვის საჭირო დროის დაგეგმვას, სათანადო დაფინანსების მოპოვებასა და მის რაციონალურად გამოყენებას, კვლევის გრაფიკის შედგენას, მონაცემების მოპოვებასა და მათ ეფექტიანად ორგანიზებას. განვიხილოთ კვლევის ორგანიზების დასახელებული პრინციპები ცალ-ცალკე.

კვლევისათვის საჭირო დროის დაგეგმვა: ყველა მკვლევარის მთავარი პრობლემაა კვლევებისთვის საჭირო დროის რაციონალური



ნახაზი 3.2. ბიზნესის კვლევის ცნებების თანაფარდობა

განაწილება. კვლევების სფეროს ზოგიერთი ექსპერტი იმასაც კი აღნიშნავს, რომ მკვლევარის მთავარი „მტერი" არის დრო. თუ კვლევების გეგმა არა რეალისტურად არის შედგენილი, მაშინ ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ კვლევის ჩატარება ვერ მოესწრება საჭირო დროში.

მაგალითად, საახალწლო და საშობაო საჩუქრების, სათამაშოებისა თუ ნაძვის ხეების საჭიროება გამოკვლეულ უნდა იქნას ახალი წლისა და საშობაო არდადეგების დადგომამდე. ან უფრო მძიმე ქეისს თუ განვიხილავთ - ავადმყოფის გამოკვლევა დაიგნოზის დადგენის მიზნით საჭიროა მანამ, სანამ პაციენტი ცოცხალია.

ამრიგად, კვლევების დაწყებამდე ზუსტად უნდა ვიცოდეთ რა დრო გვაქვს კვლევების ჩასატარებლად, როდის არის კვლევის შედეგების ჩაბარების/წარდგენის დედლაინი (საბოლოო ვადა). ჩვენ აქ ვსაუბრობთ არა იმ დროზე, რომელიც საჭიროა კვლევის ჩასატარებლად ($თ_0$), არამედ იმ დროზე, რაც მოცემული გვაქვს კვლევისათვის ($თ_1$). კარგია თუ კვლევისათვის მოცემული დრო აღემატება კვლევის ჩასატარებლად საჭირო დროს ($T_1>T_0$) ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი ტოლია ($T_1=T_0$). საწინააღმდეგო შემთხვევაში ($T_1<T_0$) შესაცვლელია კვლევის სტრატეგია ან უნდა შეეგუოთ იმ გარემოებას, რომ კვლევის შედეგები უხარისხო იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს შემდეგი სამი შემთხვევა:

1. ($T_1>T_0$) - კვლევისათვის მოცემული დრო

აღემატება კვლევის ჩასატარებლად საჭირო დროს. ამ შემთხვევაში კვლევა შესაძლოა ჩატარდეს ხარისხიანად[14], კვლევის შედეგები სასარგებლო იქნება პრაქტიკული გამოყენებისთვის;

2. (T_1=T_0) - კვლევისათვის მოცემული დრო კვლევის ჩასატარებლად საჭირო დროის ტოლია. ამ შემთხვევაში კვლევა შესაძლოა ჩატარდეს ხარისხიანად, თუმცა დიდია იმის ალბათობა, რომ კვლევა ვერ დასრულდეს დათქმულ დროში[15]. მკვლევარისგან მოითხოვება მაქსიმალური ყურადღება კვლევის ორგანიზებისა და დროის ეფექტიანად გამოყენების საკითხში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება კვლევის შედეგები სასარგებლო;

3. (T_1<T_0) - კვლევისათვის მოცემული დრო კვლევის ჩასატარებლად საჭირო დროზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში კვლევა ვერ ჩატარდება ხარისხიანად. უკეთეს შემთხვევაში, კვლევის შედეგები შესაძლოა სასარგებლო იყოს მხოლოდ ნაწილობრივ.

ყველა შემთხვევაში, კვლევის მაღალხარისხიანი შედეგების მისაღებად, მკვლევარმა გულდასმით უნდა შეადგინოს კვლევის გრაფიკი, კვლევის სხვადასხვა ეტაპისთვის საჭირო დროის ზუსტი მითითებით.

კვლევისათვის საჭირო დაფინანსების მოპოვება და რაციონალურად გამოყენება: კვლევისათვის საჭირო და მოცემული დროის ანალიზის ანალოგიურად უნდა განვიხილოთ და გავაანალიზოთ კვლევის ჩასატარებლად საჭირო და მოცემული დაფინანსება. თუ ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში ტერმინს „დრო" შევცვლით ტერმინით „დაფინანსება" ძირითადად იგივე შედეგებს მივიღებთ, იმ განსხვავებით, რომ დაფინანსებასთან დაკავშირებით განიხილება მხოლოდ 2 შემთხვევა: დაფინანსება საკმარისია თუ არა, რაც კვლევის ბიუჯეტის შედგენისას გაირკვევა. ამრიგად, გვაქვს:

1. (F_1=F_0) - კვლევისათვის მოცემული დაფინანსება საკმარისია (ტოლია კვლევის ჩასატარებლად საჭირო ხარჯების). ამ შემთხვევაში კვლევა შესაძლოა ჩატარდეს ხარისხიანად[16], თუმცა დიდია იმის ალბათობა, რომ კვლევა ვერ დასრულდეს დათქმულ დროში. მკვლევარისაგან მოითხოვება მაქსიმალური ყურადღება კვლევის ორგანიზების, დროისა და ფინანსების ეფექტიანად გამოყენების საკითხში. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება კვლევის შედეგები სასარგებლო;

2. (F_1<F_0) - კვლევისათვის მოცემული დაფინანსება კვლევის ჩასატარებლად საჭირო ხარჯებზე ნაკლებია. ამ შემთხვევაში კვლევა ვერ ჩატარდება ხარისხიანად. უკეთეს შემთხვევაში, კვლევის შედეგები შესაძლოა სასარგებლო იყოს მხოლოდ ნაწილობრივ.

ყველა შემთხვევაში მკვლევარმა გულდასმით უნდა შეადგინოს კვლევის ბიუჯეტი, კვლევის სხვადასხვა ეტაპისათვის საჭირო ხარჯების ზუსტი მითითებით. ამასთან, აუცილებელია მხედველობასი იქნეს მიღებული გაუთვალისწინებელი ხარჯებიც, რომლის ზუსტი ოდენობის პროგნოზირება შესაძლებელია მიახლოებით იმ შემთხვევაში, თუ მკვლევარს აქვს სათანადო გამოცდილება, როგორც კვლევების დაგეგმვასა და ჩატარებაში, ისე ფინანსურ მენეჯმენტში.

კვლევის გრაფიკის შედგენა: კვლევის ჩატარება მეტად შრომატევადი პროცესია, რომელიც დიდ დროს მოითხოვს. კვლევის ხარისხიანად ჩასატარებლად და დროულად დასამთავრებლად საჭირო სასწრაფოდ შევადგინოთ კვლევის გრაფიკი, რომელიც, მართალია, არ იქნება აბსოლუტურად ზუსტი, მაგრამ გამოგვადგება ერთგვარ გზამკვლევად, რომელიც შესაძლოა დრო და დრო დაზუსტდეს. ამასთან, გასათვალისწინებელია მკვლევარის გამოცდილება, რაც განაპირობებს დროით დანახარჯებს, ზოგს მეტი დრო ესაჭიროება მონაცემების შეგროვების ორგანიზებისათვის (მაგალითად, ინტერვიუს მოსამზადებლად და ჩასატარებლად) სხვებს - ნაკლები, შესაძლოა დამატებითი დრო გახდეს საჭირო ახალი მონაცემების მისაღებად და ა.შ.

კვლევის გრაფიკის შედგენა არც ისე იოლი ამოცანაა, როგორც შეიძლება თავიდან მოგვეჩვენოს. გრაფიკის შედგენის დროს არ არის საკმარისი მხოლოდ კვლევის დამკვეთის და/ან მკვლევარის მოსაზრებების გათვალისწინება. კვლევების ჩატარების დროს შეიძლება საჭირო

[14] *ბუნებრივია,* რომ კვლევის ხარისხიანად ჩატარებისთვის საჭირო დრო კვლევის ეფექტიანობის მხოლოდ ერთი, აუცილებელი, ოღონდ არასაკმარისი კომპონენტია. შესაძლოა კვლევისათვის საკმარისი დრო იყოს გამოყოფილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო კვლევის შედეგები მაინც უხარისხო აღმოჩნდეს.

[15] *გაიხსენეთ მერფის კანონი,* - ვიკიპედიის თანახმად, მხიარული ფილოსოფიური პრინციპი, - რომლის ფორმულირებაც შემდეგნაირადაა შესაძლებელი: „თუკი შესაძლებელია რაიმე ცუდი მოხდეს, მაშინ ის აუცილებლად მოხდება" (Anything that can go wrong will go wrong): http://www.murphys-laws.com/

[16] *საგულისხმოა,* რომ კვლევის ხარისხიანად ჩატარებისათვის საჭირო დაფინანსება კვლევის ეფექტიანობის კიდევ ერთი, აუცილებელი, ოღონდ არასაკმარისი კომპონენტია. შესაძლოა კვლევისათვის საკმარისი დაფინანსება იყოს გამოყოფილი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო კვლევის შედეგები მაინც უხარისხო აღმოჩნდეს.

გახდეს სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზება, მათი მომზადება, მოლაპარაკებების ჩატარება სხვადასხვა მონაცემების შეგროვების დროის შესათანხმებლად იმ ორგანიზაციებთან ან ფიზიკურ პირებთან, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებენ დაგეგმილ კვლევაში. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოულოდნელი შემთხვევები, რომლებიც არღვევენ კვლევის გრაფიკს.

კვლევის გრაფიკის შედგენის შემდეგ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი ისე წარიმართება, როგორც დაგეგმილი გვაქვს. ისეთი წარმოდგენა, რომ კვლევის ყველა ეტაპი ზუსტად გრაფიკის მიხედვით იქნება შესრულებული, შეიძლება ჩაითვალოს გრაფიკის ყველაზე სუსტ მხარედ. მკვლევარი მზად უნდა იყოს გადალახოს სხვადასხვა შეფერხებით გამოწვეული დარღვევები გრაფიკში, რაც მისთვის მოულოდნელი ან შეუძლებელი არ უნდა იყოს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა შევეგუოთ გრაფიკის დარღვევას. პირიქით, ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ დაგეგმილი ღონისძიებები რაც შეიძლება დროულად და ზუსტად იქნეს განხორციელებული. მეორე მხრივ. შესაძლოა საჭირო გახდეს რომელიმე ეტაპის კვლავ განმეორება, რაიმე ინფორმაციის ხელახლა შეგროვება, რათა გამოირიცხოს შემთხვევითი და არაკორექტული დასკვნები და ა.შ.

კვლევის სხვადახვა ეტაპის შესრულების პარალელურად, სასარგებლოა გაკეთდეს სათანადო ჩანაწერები კვლევის მიმდინარეობის შესახებ, აღინიშნოს მკვლევარის და/ან კვლევაში მონაწილეთა სუბიექტური მოსაზრებები, მიუხედავად იმისა, რომ ეს შთაბეჭდილებები მოგვიანებით შეიძლება შეიცვალოს. მაშასადამე, გასათვალისწინებელია ის დროც, რომელიც ასეთი შენიშვნების მოსამზადებლად არის საჭირო. მხედველობაში უნდას მივიღოთ ის გარემოებაც, რომ გამოუცდელ მკვლევარს საზოგადოდ უფრო მეტი დრო ესაჭირეობა ამა თუ იმ ეტაპის შესასრულებლად, ვიდრე გამოცდილს. ამ გარემოებასაც შეაქვს თავისი კორექტივები კვლევის გრაფიკში.

როგორც პრაქტიკული გამოცდილება აჩვენებს, შესაძლოა გამოიყოს კვლევის არასათანადოდ და/ან არადროულად შესრულების რამდენიმე მიზეზი: (1) ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია კვლევების გვიან დაწყება; (2) მეორე მიზეზია ე.წ პერფექციონიზმი (პერფეცტიონისმ) - მკვლევარის სურვილი განუწყვეტლივ სრულყოს კვლევა და ამის გამო მისი უუნარობა დროულად და გასაგებად ჩამოაყალიბოს მიღებული შედეგები დასკვნების სახით; (3) მესამე გავრცელებული მიზეზია გადახვევა კვლევის ძირითადი თემიდან[17].

ასეთი შეფერხებებისა და ნაკლოვანებების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შეძლებისდაგვარად მკაცრად იქნეს დაცული კვლევის გრაფიკი, დრო და დრო (სისტემატურად) შეჯამდეს მიღებული შედეგები დამკვეთთან ან ხელმძღვანელთან ერთად. როგორც წესი, მკვლევარები კარგ შედეგებს იღებენ, როდესაც მათ იციან, რომ გარკვეულ დროს უნდა მიიღონ გარკვეული შედეგები, როდესაც ისინი ვალდებულნი არიან თანდათანობით (ეტაპობრივად) წარმოადგინონ კვლევის მიმდინარე შედეგები[18].

მონაცემების მოპოვება და მათ ეფექტიანად ორგანიზება: კვლევის ჩატარების დროს მეტად მნიშვნელოვანია მონაცემების ორგანიზების საკითხი. თუ მონაცემები სწორად არის ორგანიზებული, მაშინ კვლევაც სწრაფად და ეფექტიანად დასრულდება, ხოლო თუ მონაცემები ისეა გაბნეული, რომ მათი მოძიება და გამოყენება რთულდება, მაშინ კვლევაც დაგვიანდება და შედეგებიც არასახარბიელო იქნება. მკვლევარმა შეიძლება მრავლად მოიპოვოს სხვადასხვა მასალა ჟურნალებიდან, წიგნებიდან, ინტერნეტიდან. სხვადასხვა კითხვარების (გამოკითხვების) და ინტერვიუების მეშვეობით, გააკეთოს სხვადასხვა ჩანაწერები საკუთარი ან ექსპერტთა მოსაზრებების თანახმად და ა.შ. მთავარი საკითხია, როგორ იქნება ეს მონაცემები ორგანიზებული - კლასიფიცირებული და შენახული. ყველა მკვლევარს შესაძლებელია ჰქონდეს მონაცემთა ორგანიზების საკუთარი სისტემა, მთავარია მონაცემები ისე იყოს შენახული და კლასიფიცირებული, რომ შემდეგ იოლი იყოს მათი მონახვა და გამოყენება.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რეკომენ-

---

[17] *საგულისხმოა,* რომ ახალგაზრდა მკვლევარებს გაიტაცებს ხოლმე სხვადასხვა ინფორმაციის მოძიება ინტერნეტში არსებული საძიებო სისტემების მეშვეობით, რომლის დროსაც ისინი ივიწყებენ კვლევის ძირითად დანიშნულებას და იმ მიზეზებს, რის გამოც ტარდება კვლევა. ამ დროს ხდება არა სათანადო ფოკუსირება საჭირო ლიტერატურაზე, არამედ უსარგებლო თანმდევი მასალის განხილვა, არასაჭირო მონაცემთა უზარმაზარი რაოდენობის შეგროვება, რომლის ანალიზი არაფერს იძლევა საკვლევი საკითხის შესახებ და ა.შ.

[18] *უნდა შევნიშნოთ,* რომ ისეთი კვლევები, როდესაც მკვლევარის ვალდებულება იფარგლება მხოლოდ დასრულებული კვლევის ერთჯერადად წარმოდგენით კვლევის საბოლოო თარიღისათვის მიმდინარე შედეგების წინასწარი შემოწმებისა და ანალიზის გარეშე, უმეტეს შემთხვევაში უარყოფით შეფასებას იმსახურებს.

დაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მონაცემთა ეფექტურ ორგანიზებას.

პირველადი მონაცემები - მკვლევარის მიერ ჩატარებული დაკვირვებებისა და გაზომვების შედეგები, გამოკითხვები, ამონაწერები ინტერვიუებიდან, მონაცემების დროს გაკეთებული ჩანაწერები და სხვ. უნდა დაინომროს, დათარიღდეს და შემდეგ შენახულ იქნეს (განაწილდეს ფაილებად) მინიჭებული ნომრების მიხედვით. სასარგებლოა ფაილებისთვის სპეციალური ინდექსების მინიჭება.

კვლევის დროს მოპოვებული ინფორმაცია და მონაცემები, როგორც წესი, მრავალგვარია - განსხვავებული ტიპისა და ფორმატის. ეს შეიძლება იყოს ციტატები, შენიშვნები, სხვების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები, საინტერესო დასკვნები რომლებიც სხვა კვლევებშია მიღებული, მაგრამ გარკვეული ანალოგია აქვს საკუთარ კვლევასთან. ეს მეორადი მონაცემებია და უნდა განთავსდეს მოსამზადებელი ნაშრომის ქვეთავების მიხედვით შექმნილ ფაილებში.

როგორც უკვე აღინიშნა, მკვლევარმა რაც შეიძლება მალე უნდა განსაზღვროს კვლევის ანგარიშის, ნაშრომის სტრუქტურა, თუნდაც მიახლოებით, რომელიც შესაძლოა მოგვიანებით გადახედილი და დაზუსტებული იქნება საბოლოო ვარიანტის შემუშავების მიზნით. რაკი ნაშრომის სტრუქტურა უკვე გვაქვს, ახლად მიღებული სხვადასხვა მონაცემები და ინფორმაცია უნდა განთავსდეს რეპორტის იმ განყოფილებებში, რომლებიც ყველაზე უფრო შეესაბამება მოპოვებულ საინფორმაციო მასალას[19]. ნაშრომის საბოლოო ვარიანტის მომზადების დროს, სავარაუდოდ, საჭირო გახდება ამ მასალის რედაქტირება, გადამუშავება და ა.შ. მთავარია, რომ ინფორმაცია შენახული იქნება სათანადო ადგილას, რაც გაადვილებს მის გამოყენებას.

კვლევის მართვის თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია ყველა წაკითხული სტატიის, წიგნის, ინტერნეტში ნაპოვნი ინფორმაციისა და გაკეთებული ჩანაწერების აღრიცხვა, რაც შემდეგ ნაშრომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის - ლიტერატურის მიმოხილვის - სწორად გაკეთებისა და წყაროთა კორექტულად დამოწმების საფუძველი უნდა გახდეს.

ცალკე ფაილი უნდა შეიქმნას მიმოწერისთვის, რამდენადაც ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით მიღებულ წერილებში შესაძლოა იყოს ისეთი მასალა, რომლის გამოყენებაც და, შესაბამისად, დამოწმებაც სავალდებულო იქნება. აქვე მითითებული უნდა იყოს მიმოწერაში მონაწილე პირების სრული საკონტაქტო კოორდინატები (სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელფოსტა). გარდა ამისა, საკონტაქტო პირების ელფოსტის მისამართები ცალკეც უნდა იყოს სისტემატიზებული მათთვის ერთობლივი წერილების გაგზავნის მიზნით. საგულისხმოა, რომ კვლევის პროცესში დამყარებული კონტაქტები შესაძლოა მეტად სასარგებლო იყოს შემდგომ საქმიანობაში, ამიტომ მკვლევარმა უნდა შექმნას და თანდათან განავითაროს სასარგებლო კონტაქტების ქსელი.

სპეციალური ფაილის შექმნაა საჭირო აგრეთვე იმ ინსტრუქციების შესანახად, რომლებიც დაგვეხმარება სხვადასხვა კატალოგების, მონაცემთა ბაზების, ელექტრონული რუკებისა თუ პროგრამული პაკეტების გამოყენებაში. სტატიებისა და საკონფერენციო მოხსენებების ასლები შენახული უნდა იქნას ალფავიტური წესით ავტორთა გვარის მიხედვით.

დაბოლოს, უნდა შევნიშნოთ, რომ მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა რაოდენობის ინფორმაცია აქვს შენახული მკვლევარს, მთავარია, ეს ინფორმაცია ისე იყოს სისტემატიზებული, რომ ძნელი არ იყოს მათი პოვნა (რაც ფრიად გავრცელებული სენია ახალგაზრდა მკვლევართა შორის).

დასკვნა

1. ბიზნესის სფეროში ნებისმიერი კვლევის ჩატარება მოითხოვს გარკვეული მეთოდოლოგიისა და მეთოდების გამოყენებას, რაც გულისხმობს კვლევის პროცესის სათანადო დაგეგმვას, სხვადასხვა ინსტრუმენტისა თუ დამხმარე მასალის, რეკომენდაციებისა და სხვათა მიერ უკვე დაგროვილი გამოცდილების გამოყენებას.

2. მეთოდოლოგია არის ერთგვარი მიდგომა საკვლევი საგნისადმი, რომელიც განსაზღვრავს კვლევის მთელ პროცესს, კერძოდ კი იმას, თუ მკვლევარი რა მეთოდებს გამოიყენებს, როგორ დაამუშავებს და გაანალიზებს მიღებულ მონაცემებს. რაც შეეხება მეთოდს, - ეს არის ის კონკრეტული გზა, რომელსაც მკვლევარი ირჩევს კვლევის ობიექტის შესასწავლად. უფრო კონკრეტულად, მეთოდოლოგია წარმოადგენს თეორიული პრინციპების, წესებისა და თეორიული წანამძღვრების ერთობლიობას, მეთოდი კი მიზნის მისაღწევი კონკრეტული პრაქტიკული ხერხია, რომელიც მოიცავს

[19] ჩვენ ამჟამად ვსაუბრობთ ინფორმაციის განთავსებაზე მისი შენახვის თვალსაზრისით.

წინასწარ განსაზღვრულ თანმიმდევრულ ნაბიჯებს.

3. მეთოდოლოგია, როგორც ჭეშმარიტების შესწავლის წესი, მრავალვარიანტული და მრავალგანზომილებიანია. იგი, ისევე როგორც სამეცნიერო კვლევისადმი მიდგომები, შესაძლოა კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნების გამოყენებით. მეთოდოლოგიის პირველი, ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაცია არის მისი დანაწილება ცოდნის იმ სფეროების მიხედვით, სადაც გამოიყენება მოცემული მეთოდოლოგია. მეთოდოლოგია შეიძლება აგრეთვე დავყოთ მეცნიერულ მეთოდოლოგიად და ცოდნის სხვა ტიპების მეთოდოლოგიად, მაგალითად, რელიგიურ მეთოდოლოგიად, მაგიურ და მისტიკურ მეთოდოლოგიად, „საღი აზრის" მეთოდოლოგიად და ა.შ. იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ურთიერთობას - რაოდენობრივს თუ თვისებრივს - იკვლევს მოცემული მეთოდოლოგია, იგი შეიძლება დაიყოს რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდოლოგიად. მეთოდოლოგიის კლასიფიკაციის კიდევ ერთი ვარიანტი - ეს არის მისი დაყოფა იმ მეთოდის ტიპის მიხედვით, რომელსაც, როგორც საკვანძოს, იყენებს ესა თუ ის მეთოდოლოგია. აქ შეიძლება გამოიყოს ინდუქციური, დედუქციური, „გასაგები" (ინტერპრეტირებადი), ექსპერიმენტული, მოდელირების, ევოლუციური და ა.შ. მეთოდოლოგიები. დაბოლოს, საკმაოდ პოპულარულია მეთოდოლოგიის დანაწილება მისი განზოგადების სამი დონის მიხედვით: საყოველთაო,ზოგადმეცნიერული და კერძომეცნიერული.

4. ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდოლოგიური კონცეფციების რიცხვს, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერული თეორიების (მათ შორის, ბიზნესის თეორიის) განვითარების მეთოდოლოგიური და ისტორიული ანალიზისათვის, შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სამი: (1) ამერიკელი ისტორიკოსის ტომას კუნის (1922-1995) „მეცნიერული რევოლუციებისა და პარადიგმების კონცეფცია"; (2) ინგლისელი მეცნიერის (უნგრეთიდან დიდ ბრიტანეთში ემიგრირებული) იმრე ლაკატოსის (1922-1974) „კვლევითი პროგრამების თეორია"; (3) კარლ რაიმუნდ პოპერის (1902-1994, დაბადებულია ავსტრიაში, ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა დიდ ბრიტანეთში) „კრიტიკული რაციონალიზმისა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფცია". ეს კონცეფციები საჭიროა ჩაითვალოს „საბაზოდ" იმ მიზეზით, რომ მათ ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინეს როგორც მეთოდოლოგიური ცოდნის, ასევე მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის განვითარებაზე.

5. კვლევის ადექვატური მეთოდების შერჩევას ხელს უწყობს მათი კლასიფიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა შემდგომში მოხდეს ცალკეული კვლევების გაერთიანება ჯგუფებად (კლასებად) და გაადვილდეს კვლევის ობიექტის ანალიზი. კვლევისადმი მიდგომის კრიტერიუმის თანახმად, მიღებულია ბიზნესის კვლევის მეცნიერული და არამეცნიერული მეთოდების გამოყოფა. გამოყენების სფეროს მიხედვით, ბიზნესის კვლევის ყველა მეთოდი შესაძლებელია დაყოფილი იქნეს საყოველთაო, ზოგად და კერძო (სპეციალურ) მეთოდებად. შემეცნების დონისაგან დამოკიდებულებით, გამოყოფენ ემპირიული და თეორიული დონის მეთოდებს. ბიზნესის კვლევები, საფუძვლების სისტემის შესაბამისად, ლაგდება მეთოდთა ორ ფუძემდებლურ კლასად: ფორმალური და ევრისტიკული. ბიზნესის კვლევის მეთოდების კლასიფიკაციის კიდევ ერთი წესი - ეს არის მათი დაყოფა ლოგიკის გამოყენების ხარისხის მიხედვით,- ლოგიკურ და არალოგიკურ მეთოდებად. ბიზნესის კვლევის მეცნიერული ლოგიკური მეთოდები იმისაგან დამოკიდებულებით, თუ დასაბუთების როგორი სისტემა გამოიყენება მასში, იყოფა რაოდენობრივად და თვისებრივად.

6. მტკიცე ლოგიკური კავშირი არსებობს ბიზნესის კვლევის ცნებებს შორის: *მეთოდოლოგია* არის ცოდნის სხვადასხვა ფორმის გამოყენების თანმიმდევრობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ბიზნესის კვლევის ძირითადი პრინციპები - ობიექტურობა, კვლავწარმოებითობა, მტკიცებულებითობა (ვერიფიკაცია), და მიღებული შედეგების სიზუსტე; *მეთოდი* წარმოადგენს გარკვეული მდგრადი წესების ერთობლიობას, ობიექტური სინამდვილის შემეცნების ხერხს, რომლის დანიშნულება არის რომელიმე დასახული მიზნის მიღწევა; *მეთოდიკა* არის კვლევის წესებისა და ხერხების ერთობლიობა, მათი გამოყენებისა და მათი საშუალებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის თანმიმდევრობა; *ტექნიკა* წარმოადგენს სპეციალური წესების ერთობლიობას ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისათვის; პროცედურა არის ქმედებათა თანმიმდევრობა და კვლევის ორგანიზაციის წესი.

7. კვლევის ორგანიზება, როგორც წესი, მოიცავს კვლევისათვის საჭირო დროის დაგეგმვას, სათანადო დაფინანსების მოპოვებასა და მის რაციონალურად გამოყენებას, კვლევის გრაფიკის შედგენას, მონაცემების მოპოვებასა და მათ ეფექტიანად ორგანიზებას.

საკვანძო ტერმინები გამეორებისათვის

1. დედუქციური მეთოდოლოგია
2. ევრისტიკული მეთოდები
3. ემპირიული მეთოდები
4. ზოგადი მეთოდები
5. თვისებრივი მეთოდები
6. ინდუქციური მეთოდოლოგია
7. კერძო მეთოდები
8. კვლევის მეთოდოლოგია
9. კვლევის მეთოდი
10. კვლევის მეთოდიკა
11. კვლევის ტექნიკა
12. კვლევის პროცედურა
13. კვლევის პრინციპები
14. კვლევის ფილოსოფია
15. ლოგიკური მეთოდები
16. მეცნიერული მეთოდოლოგია
17. მისტიკური მეთოდოლოგია
18. რაოდენობრივი მეთოდები
19. რელიგიური მეთოდოლოგია
20. საყოველთაო მეთოდოლოგია

საკონტროლო კითხვები და დავალებები

1. ახსენით, რა მოიაზრება მეთოდოლოგიის ცნებაში და რითი განსხვავდება იგი მეთოდის ცნებისაგან.

2. განმარტეთ მეთოდოლოგიის კავშირი შემეცნების (გნოსეოლოგიის) თეორიასთან და დაასახელეთ მის მიერ შესრულებული ფუნქციები.

3. განსაზღვრეთ მეთოდოლოგიის კლასიფიკაცია მისი გამოყენების სფეროების (ცოდნის დარგების) მიხედვით.

4. განსაზღვრეთ მეთოდოლოგიის კლასიფიკაცია კვლევას დაქვემდებარებული ცოდნის ტიპების მიხედვით.

5. განსაზღვრეთ მეთოდოლოგიის კლასიფიკაცია კვლევის ურთიერთობის ტიპების მიხედვით.

6. განსაზღვრეთ მეთოდოლოგიის კლასიფიკაცია კვლევის შედეგების განზოგადების დონეების მიხედვით.

7. ახსენით, რას აღიარებს საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპი - სამყაროს შეცნობადობის პრინციპი და როგორია ბიზნესის კვლევის სფეროში მისი გამოყენების თავისებურებანი.

8. ახსენით, რას მოითხოვს საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპი - განვითარების პრინციპი და როგორია ბიზნესის კვლევის სფეროში მისი გამოყენების თავისებურებანი.

9. ახსენით, რას ამტკიცებს საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპი - პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი და როგორია ბიზნესის კვლევის სფეროში მისი გამოყენების თავისებურებანი.

10. ახსენით, რაზე დაიყვანება საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპი - დეტერმინიზმის პრინციპი და როგორია ბიზნესის კვლევის სფეროში მისი გამოყენების თავისებურებანი.

11. ახსენით, რას გვთავაზობს საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპი - სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის") პრინციპი და როგორია ბიზნესის კვლევის სფეროში მისი გამოყენების თავისებურებანი.

12. წარმოადგინეთ ტომას კუნის „მეცნიერული რევოლუციებისა და პარადიგმების კონცეფციის" ძირითადი პოსტულატები.

13. წარმოადგინეთ იმრე ლაკატოსის „კვლევითი პროგრამების თეორიის" ძირითადი პოსტულატები.

14. წარმოადგინეთ სერ კარლ პოპერის „კრიტიკული რაციონალიზმისა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფციის" ძირითადი პოსტულატები.

15. განსაზღვრეთ ბიზნესის კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია „კვლევისადმი მიდგომის" საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

16. ახსენით, რა იგულისხმება ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდის სიმკაცრეში.

17. განსაზღვრეთ ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდების კლასიფიკაცია „გამოყენების სფეროს" საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

18. ახსენით, რა იგულისხმება ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდის ევრისტიკულობაში.

19. განსაზღვრეთ ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდების კლასიფიკაცია „შემეცნების დონის" საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

20. ახსენით, რა იგულისხმება ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდის ერთმნიშვნელოვანებაში.

21. განსაზღვრეთ ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდების კლასიფიკაცია „საფუძვლების სისტემის" საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

22. ახსენით, რა იგულისხმება ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდის ეფექტიანობაში.

23. განსაზღვრეთ ბიზნესის კვლევის მეცნიერული მეთოდების კლასიფიკაცია „ლოგიკის გამოყენების ხარისხის" საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

24. ახსენით, რა იგულისხმება ბიზნესის კვ-

ლევის მეცნიერული მეთოდის სიმარტივეში.

25. განსაზღვრეთ ბიზნესის კვლევის მეცნიერული ლოგიკური მეთოდების კლასიფიკაცია „დასაბუთების სისტემის" საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით.

26. მოიტანეთ ბიზნესის კვლევის მეთოდების გამოყენების კონკრეტული მაგალითები არამეცნიერული ბიზნეს-ცოდნის თითოეული სახის (რელიგიურმისტიკური; იდეოლოგიური-ლუზიური; ჩვეულებრივი) მიმართ.

27. გაარკვიეთ, რომელი სახის მეთოდს შეიძლება მივაკუთვნოთ სტატისტიკური კვლევა.

28. დაადგინეთ კავშირი ბიზნესის კვლევის ისეთ ცნებებს შორის, როგორიცაა „მეთოდოლოგია", „მეთოდიკა", „ტექნიკა" და „პროცედურა".

29. ახსენით, რა უნდა გაკეთდეს კვლევის ეფექტური ორგანიზებისათვის.

30. ახსენით, როგორ უნდა განხორციელდეს პირველადი და მეორადი მონაცემების შენახვა.

საგამოცდო ტესტები

1. გარკვეული მდგრადი წესების ერთობლიობა, ობიექტური სინამდვილის შემეცნების ხერხი, რომლის დანიშნულება არის რომელიმე დასახული მიზნის მიღწევა, წარმოადგენს:

ა. კვლევის მეთოდს;
ბ. კვლევის მეთოდოლოგიას;
გ. კვლევის მეთოდიკას;
დ. კვლევის პროცედურას.

2. ცოდნის სხვადასხვა ფორმის გამოყენების თანმიმდევრობა, რომელიც საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ ბიზნესის კვლევის ძირითადი პრინციპები: ობიექტურობა, კვლავწარმოებითობა, მტკიცებულებითობა (ვერიფიკაცია) და მიღებული შედეგების სიზუსტე, არის:

ა. კვლევის მეთოდი;
ბ. კვლევის მეთოდოლოგია;
გ. კვლევის მეთოდიკა;
დ. კვლევის პროცედურა.

3. კვლევის წესებისა და ხერხების ერთობლიობა, მათი გამოყენებისა და მათი საშუალებით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის თანმიმდევრობა წარმოადგენს:

ა. კვლევის მეთოდს;
ბ. კვლევის მეთოდოლოგიას;
გ. კვლევის მეთოდიკას;
დ. კვლევის პროცედურას.

4. სპეციალური წესების ერთობლიობას ამა თუ იმ მეთოდის გამოყენებისათვის ეწოდება:

ა. კვლევის ტექნიკა;
ბ. კვლევის მეთოდოლოგია;
გ. კვლევის მეთოდიკა;
დ. კვლევის პროცედურა.

5. ქმედებათა თანმიმდევრობა და კვლევის ორგანიზაციის წესი არის:

ა. კვლევის ტექნიკა;
ბ. კვლევის მეთოდოლოგია;
გ. კვლევის მეთოდიკა;
დ. კვლევის პროცედურა.

6. მეთოდოლოგიის, როგორც ფილოსოფიური ცოდნის ნაწილის, ფუნქციებს არ მიეკუთვნება:

ა. ზოგადი „შემეცნებითი" და „კვლევითი" პრინციპების წარმოდგენა სინამდვილის შესასწავლად;
ბ. ცოდნის მსოფლმხედველობრივი გაგების სტანდარტების და მისი წარმოშობის ზოგადი სოციალურ-კულტურული ფონის გაანალიზება;
გ. ჭეშმარიტების პრობლემის და მისი განმტკიცების მეთოდების ზოგადად დამუშავება;
დ. კვლევის კონკრეტული პროცედურების ჩატარება.

7. რამოდენიმე მეცნიერებაში გამოყენებაზე ორიენტირებულია:

ა. ფილოსოფია;
ბ. კერძომეცნიერული მეთოდოლოგია;
გ. საყოველთაო მეთოდოლოგია;
დ. ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგია.

8. განზოგადების დონის მიხედვით გამოიყოფა:

ა. ინდუქციური მეთოდოლოგია;
ბ. დედუქციური მეთოდოლოგია;
გ. ექსპერიმენტული მეთოდოლოგია;
დ. ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგია.

9. იმ მეთოდის ტიპის მიხედვით, რომელსაც, როგორც საკვანძოს, იყენებს ესა თუ ის მეთოდოლოგია, გამოიყოფა:

ა. საყოველთაო მეთოდოლოგია;
ბ. ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგია;
გ. ინდუქციური მეთოდოლოგია;
დ. კერძომეცნიერული მეთოდოლოგია.

10. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი ამტკიცებს, რომ ყველაფერი, რაც თეორიულად შესაძლებელია და არ არის აკრძალული ბუნებისა და საზოგადოებრივი კანონებით:

ა. პრაქტიკულად დასაშვებია;
ბ. ზოგადმეცნიერულად მისაღებია;
გ. პრაქტიკულად განხორციელებადია;

დ. მეთოდოლოგიურად გამართლებულია.

11. იმ ფაქტის აღიარებას, რომ თითოეული შედეგის მიღმა თავისი მიზეზია და რომ ყველა პროცესი სამყაროში მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ერთმანეთთან, გულისხმობს:

ა. დეტერმინიზმის პრინციპი;

ბ. სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის") პრინციპი;

გ. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი;

დ. სამყაროს შეცნობადობის პრინციპი.

12. ბიზნესის ნებისმიერი მოვლენისა და პროცესის შეცნობადობას აღიარებს:

ა. დეტერმინიზმის პრინციპი;

ბ. სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის") პრინციპი;

გ. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი;

დ. სამყაროს შეცნობადობის პრინციპი.

13. ბიზნესის მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიდგომას მოითხოვს:

ა. დეტერმინიზმის პრინციპი;

ბ. განვითარების პრინციპი;

გ. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი;

დ. სამყაროს შეცნობადობის პრინციპი.

14. სახელწოდებას - „ოკამის სამართებელი" - ატარებს:

ა. სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის") პრინციპი;

ბ. განვითარების პრინციპი;

გ. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი;

დ. სამყაროს შეცნობადობის პრინციპი.

15. ნებისმიერ სამეურნეო ფაქტთან მიმართებაში ყველა არსებული ვარიანტიდან მეტ-ნაკლებად მარტივი ახსნის მოძებნას გვთავაზობს:

ა. დეტერმინიზმის პრინციპი;

ბ. სიმარტივის („აზროვნების ეკონომიის") პრინციპი;

გ. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი;

დ. დეტერმინიზმის პრინციპი.

16. ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდოლოგიური კონცეფციების რიცხვს, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერული თეორიების (მათ შორის ეკონომიკურის) განვითარების მეთოდოლოგიური და ისტორიული ანალიზისათვის, არ მიეკუთვნება:

ა. ტომას კუნის „მეცნიერული რევოლუციებისა და პარადიგმების კონცეფცია";

ბ. იმრე ლაკატოსის „კვლევითი პროგრამების თეორია";

გ. სერ კარლ პოპერის „კრიტიკული რაციონალიზმისა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფცია";

დ. ჰერბერტ ბლუმერის „სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორია".

17. მეცნიერების განვითარების ეტაპს, როცა ერთი პარადიგმა იცვლება მეორეთი, მეცნიერულ რევოლუციას უწოდებს:

ა. ტომას კუნი;

ბ. იმრე ლაკატოსი;

გ. სერ კარლ პოპერი;

დ. ჰერბერტ ბლუმერი.

18. პარადიგმას მეცნიერული აზროვნების ნორმადა და ნიმუშად განსაზღვრავს:

ა. ჰერბერტ ბლუმერი;

ბ. იმრე ლაკატოსი;

გ. სერ კარლ პოპერი;

დ. ტომას კუნი.

19. ცნებები - „პარადიგმა" და „მეცნიერული რევოლუცია" - საკვანძოა:

ა. ტომას კუნისათვის;

ბ. იმრე ლაკატოსისათვის;

გ. სერ კარლ პოპერისათვის;

დ. ჰერბერტ ბლუმერისათვის.

20. „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი მეცნიერული ცოდნის განვითარების ევოლუციურ სტადიას წარმოადგენს:

ა. ტომას კუნთან;

ბ. იმრე ლაკატოსთან;

გ. სერ კარლ პოპერთან;

დ. ჰერბერტ ბლუმერთან.

21. „ფალსიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია" ეკუთვნის:

ა. ტომას კუნს;

ბ. იმრე ლაკატოსს;

გ. სერ კარლ პოპერს;

დ. ჰერბერტ ბლუმერს.

22. ერთ მთელში მეცნიერების ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიის შეერთება მეთოდოლოგიური გამოკვლევების ძირითადი პრინციპია:

ა. ტომას კუნთან;

ბ. იმრე ლაკატოსთან;

გ. სერ კარლ პოპერთან;

დ. ჰერბერტ ბლუმერთან.

23. „ევოლუციური ეპისტემოლოგია და სოციალური მეცნიერების ლოგიკა" ეკუთვნის:

ა. ტომას კუნს;

ბ. იმრე ლაკატოსს;
გ. სერ კარლ პოპერს;
დ. ჰერბერტ ბლუმერს.

24.მეცნიერების ორ ძირითად სახეობას - „მომწიფებული მეცნიერება" და „მოუმწიფებელი მეცნიერება" - გამოყოფს:
ა. ჰერბერტ ბლუმერი;
ბ. იმრე ლაკატოსი;
გ. სერ კარლ პოპერი;
დ. ტომას კუნი.

25.მტკიცებულებამდე: „ყველაფერს უყურე კრიტიკის თვალით" დაიყვანება:
ა. ჰერბერტ ბლუმერის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი;
ბ. იმრე ლაკატოსის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი;
გ. სერ კარლ პოპერის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი;
დ. ტომას კუნის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი.

26.პოპერის აზრით, სწორი კრიტიკული მეთოდის ძირითად ნიშნებს არ მიეკუთვნება:
ა. რაციონალურობა;
ბ. დიალექტიკურობა;
გ. დედუქტივიზმი;
დ. პროპორციულობა.

27.კლასიკური ექსპერიმენტის ან გამოკითხვის მეთოდი განიხილება:
ა. რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ფარგლებში;
ბ. იდეოლოგიური მეთოდოლოგიის ფარგლებში;
გ. მისტიკური მეთოდოლოგიის ფარგლებში;
დ. თვისებრივი მეთოდოლოგიის ფარგლებში.

28.კვლევისადმი მიდგომის მიხედვით, კვლევის მეთოდები იყოფა:
ა. მეცნიერულად და არამეცნიერულად;
ბ. ლოგიკურად და არალოგიკურად;
გ. ემპირიულად და თეორიულად;
დ. თვისებრივად და რაოდენობრივად.

29.კვლევის ობიექტის შინაარსის მიხედვით, კვლევის მეცნიერულ მეთოდთა სახეებს მიეკუთვნება:
ა. სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდები;
ბ. საყოველთაო მეთოდები;
გ. ზოგადი მეთოდები;
დ. კერძო (სპეციალური) მეთოდები.

30. შემეცნების დონის მიხედვით, კვლევის მეცნიერულ მეთოდთა სახეებს მიეკუთვნება:
ა. სოციალურ-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მეთოდები;
ბ. ემპირიული მეთოდები;
გ. ზოგადი მეთოდები;
დ. კერძო (სპეციალური) მეთოდები.

31. საფუძვლების სისტემის მიხედვით, კვლევის მეცნიერულ მეთოდთა სახეებს მიეკუთვნება:
ა. ევრისტიკული მეთოდები;
ბ. ემპირიული მეთოდები;
გ. ზოგადი მეთოდები;
დ. კერძო (სპეციალური) მეთოდები.

32.გამოყენების სფეროს მიხედვით, კვლევის მეცნიერულ მეთოდთა სახეებს მიეკუთვნება:
ა. ევრისტიკული მეთოდები;
ბ. ემპირიული მეთოდები;
გ. ზოგადი მეთოდები;
დ. ფორმალური მეთოდები.

33.კვლევის ემპირიულ მეთოდებს არ მიეკუთვნება:
ა. დაკვირვება;
ბ. ანკეტური გამოკითხვა;
გ. ფორმალიზება;
დ. ექსპერიმენტი.

34.ლოგიკის გამოყენების ხარისხის მიხედვით, კვლევის მეცნიერულ მეთოდთა სახეებს მიეკუთვნება:
ა. ევრისტიკული მეთოდები;
ბ. ემპირიული მეთოდები;
გ. არალოგიკური მეთოდები;
დ. ფორმალური მეთოდები.

35.კვლევის ლოგიკურ მეთოდებს არ მიეკუთვნება:
ა. დედუქცია;
ბ. ინდუქცია;
გ. ანალოგია;
დ. ინტუიცია.

36.კვლევის ლოგიკური მეთოდები იყოფა:
ა. მეცნიერულად და არამეცნიერულად;
ბ. ლოგიკურად და არალოგიკურად;
გ. ემპირიულად და თეორიულად;
დ. თვისებრივად და რაოდენობრივად.

37.კვლევის თვისებრივ მეთოდებს არ მიეკუთვნება:
ა. დაკვირვება;
ბ. გამოკითხვა;
გ. გასაუბრება;
დ. მათემატიკური და იმიტაციური მოდელირება.

38.რეალობის შემეცნების მეთოდებს, რომლებიც მოქმედებენ ცდების დონეზე, უწოდებენ:

ა. ემპირიულ მეთოდებს;
ბ. თეორიულ მეთოდებს;
გ. ფორმალურ მეთოდებს;
დ. ევრისტიკულ მეთოდებს.

39.კვლევის მეცნიერული მეთოდის სიმკაცრე არის:

ა. მის მიერ ახალი შედეგის (ცოდნის) მოტანის უნარი, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ან გავრცელებული იქნეს მოცემული მეცნიერების ახალ სფეროში ან ცოდნის სხვა სფეროებში;

ბ. მეცნიერული შედეგის მიღწევა მინიმალური ქმედებების პირობებში;

გ. თეორიაში არსებული მტკიცებულებების ერთმანეთთან აზრობრივი შესატყვისობა;

დ. მისი რაციონალურობა, მტკიცებულებითობა, თეორიული წყობის ყველა სტრუქტურული ელემენტის შეთანხმებულობა.

40.კვლევის მეცნიერული მეთოდის ევრისტიკულობა წარმოადგენს:

ა. მის მიერ ახალი შედეგის (ცოდნის) მოტანის უნარს, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული ან გავრცელებული იქნეს მოცემული მეცნიერების ახალ სფეროში ან ცოდნის სხვა სფეროებში;

ბ. მეცნიერული შედეგის მიღწევას მინიმალური ქმედებების პირობებში;

გ. თეორიაში არსებული მტკიცებულებების ერთმანეთთან აზრობრივ შესატყვისობას;

დ. მის რაციონალურობას, მტკიცებულებითობას, თეორიული წყობის ყველა სტრუქტურული ელემენტის შეთანხმებულობას.

ჟურნალი „სოციალური ეკონომიკა“ – XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები. რეგისტრირებულია თბილისის რეგიონული ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ. რეგისტრაციის №19181.
რედაქტორის ტელ.: 2-36-51-16; 2-36-43-78; 599-33-53-92.
web: socialuri-economica.bpengi.com; www.socialuri-economica.ge
e-mail: social_economica@mail.ru; socialuri-economica@bpengi.com

გადაეცა ასაწყობად 15.03.19.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.03.19.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი – 22,5.

ტექნიკური რედაქტორი და კორექტორი: ნანა სახეჩიძე
სტილური რედაქტორი: ბადრი ცხადაძე
კორექტორები: თინა ცისკარიშვილი, ნანა ბოლქვაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა და დიზაინი: ზურაბ წერეთელი